პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 18 თებერვალი, 1948 წ. № 35 (8079). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

საწარმოთა მაღალი რენტაბელობისათვის ბრძოლა დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა — მოწინავე (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება (1-ლი გვერდი).

მილიონი მანეთი მოგება სამშობლოს (1-ლი გვერდი).

მოსკოვს ჩამოვიდნენ უნგრეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ბ-ნი ზოლტან ტილდი და უნგრეთის მთავრობის დელეგაცია (1-ლი გვერდი).

ისტორიის ფალსიფიკატორები (მე-2 გვერდი).

საკონტროლო საბჭოს სხდომა (მე-3 გვერდი).

ავსტრიის საკითხთა სამოკავშირეო საბჭოში (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

საწარმოთა მაღალი რენტაბელობისათვის ბრძოლა დიდმნიშვნელოვანი ამოცანა

მოსკოვის მოწინავე საწარმოთა კოლექტივების შესანიშნავმა ინიციატივამ სახელმწიფოსაგან დოტაციის მიღებაზე უარის თქმის შესახებ და მათმა ვალდებულებამ მიაღწიონ რენტაბელობას — მხურვალე მხარდაჭერა ჰპოვა საქართველოს მრეწველობის საწარმოთა კოლექტივებში. შეუნელებლივ ვითარდება და მასობრივი ხდება მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსების მოძრაობა მოსკოველთა მაგალითისამებრ მუშაობის გარდაქმნის მისაღწევად. თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელ ქარხანაში მუშების, მოსამსახურეებისა და ინჟინერ-ტექნიკოსების საქარხნო კრებაზე გულდასმით განიხილეს მოსკოველთა ინიციატივასთან დაკავშირებით თავიანთი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესაძლებლობანი და დასახეს კონკრეტული ღონისძიებები 1948 წელს რენტაბელური მუშაობის უზრუნველსაყოფად. კიროველმა დაზგათმშენებლებმა, რომლებმაც შარშან საყურადღებო გამოცდილება შეიძინეს, წელს იკისრეს, სახელმწიფოსაგან დოტაციის მიღებაზე უარი სთქვან. მეტიც, მათ პირობა დასდეს წლის ბოლოსთვის სამშობლოს მისცენ სულ ცოტა 700.000 მანეთი მოგება. ასეთსავე ვალდებულებებს იღებენ მთელ რიგ სხვა საწარმოთა კოლექტივები, სადაც უკვე შეუდგნენ კონკრეტული ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების დამუშავებას იმისათვის, რათა წელს მიაღწიონ საწარმოო სიმძლავრეთა სრულ ათვისებას, ადგილობრივი რესურსების უფრო ეფექტიანად გამოყენებას, მუშათა და დაზგა-დანადგართა გაცდენის აღმოფხვრას, პროდუქციის ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესებას და თვითღირებულების შემცირებას. ამ მხრივ საგრძნობლად გადიდებულ ვალდებულებებს კისრულობენ, მაგალითად, თბილისის ორჯონიკიძის სახელობის და 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნების, კალინინის სახელობის ქარხნის და მთელ რიგ სხვა საწარმოთა კოლექტივები. ახლა მთავარია ნაკისრ ვალდებულებათა პირნათლად განაღდებისათვის ბრძოლის ორგანიზაცია.

საწარმოთა რენტაბელობის მისაღწევად დამუშავებული ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების განხორციელებაში მთავარი როლი საწარმოთა სამეურნეო, პარტიულ და პროფესიულ ორგანიზაციებს ეკისრებათ. მათი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ამთავითვე სათავეში ჩაუდგნენ მასების შრომითს აღმავლობას და იგი წარმართონ საწარმოს რენტაბელობის გადიდების გზით. გასულ წელს ჩამორჩენილ მთელ რიგ საწარმოთა მუშაობის ანალიზი ცხადად გვიჩვენებს, თუ რა საგრძნობი ზარალი მოაქვს სახელმწიფოსათვის არსებულ საწარმოო სიმძლავრეთა აუთვისებლობას, ეკონომიის მიღების შესაძლებლობათა გამოუყენებლობას, სამუშაო ადგილის ცუდად მოწყობას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის არასაკმაო ზრუნვას. შარშან თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანამ იმის გამო, რომ ვერ მოახერხა დაზგა-დანადგართა სიმძლავრეების ათვისება, ვერ მოაწესრიგა შრომა, რკინიგზის ტრანსპორტს მრავალი ათეული ორთქლმავალი დააკლო და სახელმწიფოს საგრძნობი ზარალი მიაყენა. ფეხსაცმლისა და სამკერვალო ფაბრიკებმა შარშან შესამჩნევი რაოდენობით გამოუშვეს დაბალხარისხოვანი პროდუქცია და ამით სახელმწიფოს მიაყენეს 1.067.000 მანეთი ზარალი.

წელს ასეთ ფაქტებს აღარ უნდა ექნეს ადგილი. პროდუქციის ხარისხის ამაღლება, მისი თვითღირებულების შემცირებასთან ერთად საწარმოს მუშაობის გაუმჯობესების მთავარი მაჩვენებელია. მოსკოვის მოწინავე საწარმოთა ინიციატივისათვის მხარდაჭერა უპირველეს ყოვლისა უნდა გამოიხატოს რენტაბელობის ამაღლებისაკენ მიმართულ ღონისძიებათა განხორციელებით. ამ მხრივ ბევრი რამ არის დამოკიდებული საწარმოთა პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობაზე.

საწარმოთა პარტიულ ორგანიზაციებს მოეთხოვებათ ჩასწვდნენ საწარმოს ცალკე უბნების თავისებურებათა სიღრმეს, დარაზმონ კომუნისტები „ვიწრო ადგილების" გადასალახავად, გააძლიერონ მათი ავანგარდული როლი, ფართოდ გაშალონ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის პარტიული ორგანიზაციის გამოცდილება იმის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს, თუ რა მნიშვნელობა აქვს საწარმოო საკითხების გადაწყვეტაში მასების აქტიურ მონაწილეობას. 1947 წლის მანძილზე ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ მოწინავე სტახანოველებისა და ინჟინერ-ტექნიკოსების მონაწილეობით მრავალი სამეურნეო საკითხი განიხილა, დასახა ღონისძიებები ამ საკითხთა გადასაწყვეტად და განახორციელა ისინი. პარტიული ორგანიზაციის დამსახურებაცაა, რომ ქარხნის კოლექტივმა ნაცვლად 2.429.000 მანეთისა, წლის ბოლოსთვის სახელმწიფოს 5.437.700 მანეთი დაგროვება მისცა.

დიდი მნიშვნელობა აქვს საქარხნო პროფორგანიზაციების მუშაობასაც საწარმოთა რენტაბელობის ამაღლებისათვის. ძალიან ხშირად სახელმწიფოსაგან დოტაციის მიღების საჭიროება გამოწვეულია წარმოების არადამაკმაყოფილებელი ორგანიზებით, საშუალო-პროგრესული ნორმების შემოუღებლობით, ტექნიკური სწავლებისათვის არასაკმაო ყურადღების მიქცევით. ამ საკითხთა მოწესრიგებაში საქარხნო პროფესიულ ორგანიზაციებს გადამწყვეტი როლი ეკუთვნით. პროფორგანიზაციებმა მეტი დაინტერესება უნდა გამოიჩინონ საწარმოო საკითხებით, არ უნდა ჩამორჩნენ მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა მასების მზარდ აქტივობას. საჭიროა საქარხნო პროფორგანიზაციათა ხელმძღვანელები უფრო მომთხოვნი იყვნენ, როცა საკითხი ეხება საწარმოს ინტერესებს, წარმოების ეკონომიკას, მუშათა მასების არსებითს საჭიროებებს. საწარმოს რენტაბელობით კი მუშები სისხლხორცეულად არიან დაინტერესებულნი, რადგან ამით იზრდება ჩვენი სახელმწიფოს ძლიერება, მაღლდება მშრომელთა მატერიალურ-კულტურული ცხოვრების დონე.

ეკონომიის მიღწევის, დაგროვების წყაროთა გაფართოების შესაძლებლობა საქართველოს მრეწველობის ყველა საწარმოშია. საჭიროა ამ რესურსების რაციონალურად გამოყენებისაკენ მიმართონ ახლა მთელი თავისი ყურადღება საწარმოთა სამეურნეო, პარტიულმა და პროფესიულმა ორგანიზაციებმა.

ი. ბ. სტალინმა მიიღო უნგრეთის პრეზიდენტი ბ-ნი ზოლტან ტილდი და უნგრეთის მთავრობის დელეგაცია

17 თებერვალს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ბ. სტალინმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა მიიღეს უნგრეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ბ-ნი ზოლტან ტილდი და უნგრეთის მთავრობის დელეგაცია მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ბ-ნ ლაიოშ დინიეშის, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეების ბ-ნ მატიას რაკოშისა და ბ-ნ არპად საკაშიჩის, საგარეო საქმეთა მინისტრის ბ-ნ ერიკ მოლნარის, თავდაცვის მინისტრის ბ-ნ პეტერ ვერეშისა და წვრილ სოფლის მეურნეთა დამოუკიდებელი პარტიის თავმჯდომარის ბ-ნ იშტვან დობის შემადგენლობით.

მიღებას დაესწრნენ უნგრეთის დესპანი სსრ კავშირში ბ-ნი დიულა სეკფიუ და სსრ კავშირის დესპანი უნგრეთში გ. მ. პუშკინი. (საკდესი).

ნ. მ. შვერნიკმა მიიღო ბ-ნი ზოლტან ტილდი და უნგრეთის მთავრობის დელეგაციის წევრები

17 თებერვალს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. მ. შვერნიკმა მიიღო უნგრეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ბ-ნი ზოლტან ტილდი, უნგრეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბ-ნი ლაიოშ დინიეში, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ბ-ნი მატიას რაკოში და ბ-ნი არპად საკაშიჩი. მიღებას დაესწრნენ აგრეთვე უნგრეთის დესპანი სსრ კავშირში ბ-ნი დიულა სეკფიუ და პრეზიდენტის კაბინეტის უფროსი ბ-ნი ერნე მიხაიფი.

საბჭოთა კავშირის მხრივ მიღებას დაესწრნენ რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. ა. ვლასოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ა. ზორინი და დესპანი უნგრეთში გ. მ. პუშკინი. (საკდესი).

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სტალინგრადის ოლქის სოფლის მეურნეობის მოწინავეთათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 29 მარტის ბრძანებულების შესაბამისად, 1947 წელს **ხორბლისა და ჭვავის** უხვი მოსავლის მიღებისათვის და ამასთან კოლმეურნეობის მიერ სავალდებულო ჩაბარებათა და მტს-ის სამუშაოთა ნატურსაზღაურის შესრულებისა და 1948 წლის საგაზაფხულო თესვის მარცვლეული კულტურების თესლით უზრუნველყოფისათვის მიენიჭოთ **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეთ **ლენინის** ორდენი და ოქროს მედალი **„ნამგალი და ურო"**.

1. **აზოვცევს** ივანე ნიკიტას-ძეს — საკავშირო კ. პ. (ბ) ნოვო-ანენსკის რაიონის რაიონული კომიტეტის მდივანს, რომელმაც თავისი მუშაობით უზრუნველჰყო მთლიანად რაიონში ხორბლისა და ჭვავის მოსავლის გეგმიანი აღების 21,30 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

2. **აქსიონოვას** ანასტასია ილიას ასულს — ნოვო-ანენსკის რაიონის კოლმეურნეობა „ბოლშევისტსკოე ზნამიას" მერგოლურს, რომელმაც 31,11 ცენტნერი ჭვავი მიიღო 20,60 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

3. **ანდრეევს** სერგი სტეფანეს-ძეს — ნოვო-ანენსკის რაიონის დემინის მტს-ის უფროს მექანიკოსს, რომელმაც იმ კოლმეურნეობებში, რომლებსაც მტს-ი უწევს მომსახურებას, 22,30 ცენტნერი ჭვავი მიიღო 611,50 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

4. **გვოზდკოვს** პროკოფი ზაქარიას-ძეს — ნოვო-ანენსკის რაიონის დემინის მტს-ის დირექტორს, რომელმაც იმ კოლმეურნეობებში, რომლებსაც მტს-ი უწევს მომსახურებას, 22,30 ცენტნერი ჭვავი მიიღო 611,50 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

5. **გუსევს** ივანე დიმიტრის-ძეს — ნოვო-ანენსკის რაიონის სოფლის მეურნეობის რაიონული განყოფილების გამგეს, რომელმაც თავისი მუშაობით უზრუნველჰყო მთლიანად რაიონში ხორბლისა და ჭვავის მოსავლის გეგმიანი აღება 21,30 პროცენტის გადაჭარბებით.

6. **ჟულინსკის** მარკოზ ტიხონის-ძეს — ნოვო-ანენსკის რაიონის დემინის მტს-ის უფროს აგრონომს, რომელმაც იმ კოლმეურნეობებში, რომლებსაც მტს-ი უწევს მომსახურებას, 22,30 ცენტნერი ჭვავი მიიღო 611,50 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

7. **კოჟუშკინას** თებრონე სტეფანეს ასულს — ნოვო-ანენსკის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 33,54 ცენტნერი ხორბალი მიიღო 9,60 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

8. **სერგეევს** პავლე ნიკანორის-ძეს — ნოვო-ანენსკის რაიონის სოფლის მეურნეობის რაიონული განყოფილების მთავარ აგრონომს, რომელმაც თავისი მუშაობით უზრუნველჰყო, მთლიანად რაიონში ხორბლისა და ჭვავის მოსავლის გეგმიანი აღება 21,30 პროცენტის გადაჭარბებით.

9. **ფეტისოვს** ფილიპე ილიას-ძეს — ნოვო-ანენსკის რაიონის კოლმეურნეობა „ბოლშევისტსკოე ზნამიას" თავმჯდომარეს, რომელმაც 30,57 ცენტნერი ჭვავი მიიღო 40,60 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი, 1948 წლის 15 თებერვალი.

სტალინგრადის ოლქის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა დაჯილდოება ორდენებითა და მედლებით

1947 წელს **ხორბლის, ჭვავისა და შაქრის ჭარხლის** უხვი მოსავლის მიღებისათვის, ამასთან კოლმეურნეობის მიერ სავალდებულო ჩაბარებათა და მტს-ების მუშაობისათვის ნატურსაზღაურისა და 1948 წლის საგაზაფხულო თესვის მარცვლეული კულტურების თესლით უზრუნველყოფისათვის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 29 მარტის ბრძანებულების შესაბამისად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 15 თებერვლის ბრძანებულებით ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია სტალინგრადის ოლქის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა დიდი ჯგუფი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან: ს. ი. ალტინოვი, ა. ა. არტამონოვი, გ. ნ. ასტახოვი, ი. გ. ბორისკინი, მ. გ. ბელიაკოვი, ნ. კ. ვოლკოვი, ა. ა. გავრილოვი, მ. თ. გუსინინი, ა. ნ. ივანოვა, გ. ს. კლიმოვი, ტ. ა. კოტოვრასოვი, პ. ა. კოროტკოვი, მ. ი. კურკინა, ი. ს. კურგუზოვი, ვ. გ. კლიმოვი, ხ. ტ. მაკაროვა, მ. პ. პარშინა, ი. ლ. პეგანოვი, ვ. დ. პლიშჩაკოვა, ა. ზ. რომაშევა, ე. ი. სედოვა, დ. ნ. სკაბელინა, ა. ა. სკვორცოვა, ი. ს. სმირნოვი, ე. გ. სოლონინა, მ. გ. სიჩევი, ა. მ. სიჩევა, ნ. ი. ტოპილინი, გ. ნ. ფადეევი, მ. ე. ფედოტოვი, ე. დ. ფილიპოვა, მ. ს. ხალდაი, ი. პ. იაკუშევი, სულ 33 კაცი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 148 კაცი, **მედლით „შრომითი მამაცობისათვის"** — 383 კაცი, **მედლით „შრომითი წარჩინებისათვის"** — 235 კაცი. (საკდესი).

მილიონი მანეთი მოგება სამშობლოს

დიმიტროველთა ვალდებულება

16 თებერვალს დიმიტროვის სახელობის ქარხანაში შესდგა მიტინგი. მიტინგზე შეგროვდნენ ქარხნის მოწინავე ადამიანები — ხარატები, ზეინკლები, მღარავები, მექანიკოსები, ოსტატები, საამქროს უფროსები, ენერგეტიკოსები, ქარხნის ტექნიკური ინტელიგენცია.

დღის წესრიგში იდგა საკითხი მოსკოვის მოწინავე საწარმოთა მაგალითისამებრ სახელმწიფოსაგან დოტაციის მიღებაზე უარის თქმისა და რენტაბელურად მუშაობის მოწყობის შესახებ.

მიტინგი გახსნა საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ მ. ხოსიტაშვილმა, რომელმაც სიტყვა მისცა ქარხნის დირექტორს ამხ. ვ. სალაძეს.

— შარშან ქარხნის 200-ზე მეტმა სტახანოველმა, — სთქვა ამხ. სალაძემ, — შეასრულა ხუთწლიანი გეგმა. სტახანოველმა ი. ბარბოტკომ, რომელიც ხუთი კაცის მაგიერ მუშაობს, ომისშემდგომი ორი წლის განმავლობაში ათი წლის ნორმა შეასრულა. ზეინკალმა ამხ. მახონინმა ორი წლის განმავლობაში 12,5 წლის გეგმა გაანაღდა. მოწინავე ადამიანებმა: ზურაბაშვილმა, ტომჩუკმა, სახოკიამ და მიშჩენკომ ათ-ათი წლის ნორმა შეასრულეს. განუხრელად იზრდება სტახანოველთა რიგები.

შემდეგ ამხ. სალაძემ აღნიშნა, რომ დიმიტროვის სახელობის ქარხანა დღემდე სახელმწიფო დოტაციაზე მყოფ საწარმოთა რიგებში ითვლება. მარტო 1947 წელს ქარხანამ სახელმწიფოსაგან ათეული მილიონი მანეთი დოტაცია მიიღო.

— საკითხის შესწავლამ გვიჩვენა,— განაგრძო ამხ. სალაძემ, — რომ თუ სრულად გამოვიყენებთ ჩვენს ხელთ არსებულ რესურსებს, შეგვიძლია უარი ვთქვათ სახელმწიფო დოტაციაზე და, პირიქით, მოგებაც მივცეთ სამშობლოს — სულ ცოტა ერთი მილიონი მანეთი.

იანვარში მუშაობის გამოცდილება მოწმობს ამ საბრძოლო ვალდებულების რეალობას. იანვარში, მაგალითად, მასალების ეკონომიური გამოყენების შედეგად ერთმა საამქრომ 750 კილოგრამი ფერადი ლითონი დაზოგა, ქარხნის ენერგეტიკოსებმა მილიონზე მეტი კილოვატსაათი ელექტროენერგიის მომჭირნეობა გასწიეს. ფასდაუდებელი ამაგი დასდეს ქარხანას რაციონალიზატორებმა, რომელთა წინადადებების დანერგვამ მარტო იანვარში სამ მილიონზე მეტი მანეთის ეკონომია მოგვცა.

ამხ. სალაძის შემდეგ ტრიბუნაზე ავიდა ქარხნის წარჩინებული ადამიანი, საავრევატო საამქროს სტახანოველი ი. ბარბოტკო. მან ვალდებულება იკისრა წელს ხუთი წლის გეგმა შეასრულოს და სამ მუშას შეასწავლოს მუშაობის მოწინავე მეთოდები.

სახელმწიფოსაგან დოტაციის მიღებაზე უარის თქმის შესაძლებლობებზე ილაპარაკეს ოსტატმა ვ. ივანოვმა, მექანიკური საამქროს უფროსმა შ. ფრუიძემ, ხარატმა ს. პავლოცკიმ და ამწყობი საამქროს პარტბიუროს მდივანმა ს. მატაიანმა. მათ მოუწოდეს ქარხნის კოლექტივს საერთო საწარმოო აღმავლობისათვის ბრძოლისაკენ, რათა ყოველი აგრეგატი, ყოველი მუშა მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებდეს დავალებას, ამცირებდეს პროდუქციის თვითღირებულებას და ხელს უწყობდეს რენტაბელობის დანერგვას.

მიტინგმა ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება უარი სთქვან 1948 წელს სახელმწიფოსაგან დოტაციის მიღებაზე და მუშაობის ახლებურად გარდაქმნის, დაზგა-დანადგარების სიმძლავრეთა ათვისებისა და მაღალნაყოფიერი შრომის მეთოდების ფართოდ დანერგვის შედეგად მიმდინარე წლის ბოლოსთვის სახელმწიფოს მისცენ სულ ცოტა ერთი მილიონი მანეთი მოგება.

მოსკოვს ჩამოვიდნენ უნგრეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ბ-ნი ზოლტან ტილდი და უნგრეთის მთავრობის დელეგაცია

16 თებერვალს მოსკოვს ჩამოვიდა უნგრეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ბ-ნი ზოლტან ტილდი პრეზიდენტის კაბინეტის უფროსის ბ-ნ ერნე მიხაიფის თანხლებით.

ამავე დროს მოსკოვს ჩამოვიდა უნგრეთის მთავრობის დელეგაცია; დელეგაციის შემადგენლობაში არიან: მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბ-ნი ლაიოშ დინიეში, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ბ-ნი მატიას რაკოში და ბ-ნი არპად საკაშიჩი, საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ერიკ მოლნარი, თავდაცვის მინისტრი ბ-ნი პეტერ ვერეში, წვრილ სოფლის მეურნეთა დამოუკიდებელი პარტიის თავმჯდომარე ბ-ნი იშტვან დობი და სხვა ოფიციალური პირები.

კიევის ვაგზალზე ბ-ნ ზოლტან ტილდის და უნგრეთის მთავრობის დელეგაციას შეხვდნენ: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მ. მოლოტოვი, საბჭოთა კავშირის მარშალი კ. ე. ვოროშილოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ი. ა. ვლასოვი, საბჭოთა კავშირის მარშალი ა. მ. ვასილევსკი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ა. ზორინი, საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ა. დ. კრუტიკოვი, მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ტ. ა. სელივანოვი, ქალაქ მოსკოვის კომენდანტი გენერალ-ლეიტენანტი კ. რ. სინილოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ბალკანეთის ქვეყნების განყოფილების გამგე ა. ა. ლავრიშჩევი.

ჩამოსულთ აგრეთვე შეხვდნენ მოსკოვში უნგრეთის რესპუბლიკის მისიის წევრები დესპანის ბ-ნ დიულა სეკფიუს მეთაურობით და მოსკოვში აკრედიტებული მთელი რიგი საელჩოებისა და მისიების მეთაურები.

ამავე დროს მოსკოვს ჩამოვიდა სსრ კავშირის დესპანი უნგრეთში გ. მ. პუშკინი.

შეხვედრისას ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შესრულებულ იქნა უნგრეთის რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

ვაგზალი მორთული იყო უნგრეთისა და საბჭოთა კავშირის ალმებით.

საბჭოთა კავშირ-უნგრეთის საზღვარზე ბ-ნ ზოლტან ტილდისა და უნგრეთის მთავრობის დელეგაციას შეხვდნენ და მოსკოვამდე მოაცილებდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. თ. გორკინი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი. (საკდესი).

უნგრეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბ-ნ ზოლტან ტილდის სიტყვა

მოსკოვს ჩამოსვლისას უნგრეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბ-ნმა ზოლტან ტილდიმ კიევის ვაგზალზე შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა:

უწინარეს ყოვლისა, მხურვალე მადლობას გამოვთქვამ იმ გულითადი მიღებისათვის, რაც ჩვენ აღმოგვიჩინეს, საზღვრით დაწყებული, და განსაკუთრებით აქ, მოსკოვში.

სამმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც დიდმა და მამაცმა საბჭოთა არმიამ გაათავისუფლა ჩვენი დედაქალაქი, ხოლო ახლა ჩვენ ჩამოვედით იმ დედაქალაქში, საიდანაც გენერალისიმუს სტალინის გენია ხელმძღვანელობდა გრანდიოზულ საომარ ოპერაციებს ჩვენი, უნგრელების, და სხვა ხალხების განსათავისუფლებლად. ჩვენი მადლიერების გრძნობა არ დაიჩრდილება საუკუნეთა განმავლობაში, იგი გაღრმავდება და გაიზრდება, იმიტომ რომ განთავისუფლების პირველი დღეებიდან ჩვენმა ქვეყანამ, ჩვენმა ხალხმა საბჭოთა კავშირისაგან მიიღეს და იღებენ დიდ დახმარებას და თქვენი მხრივ კეთილსასურველობასა და გაგებას ხვდებიან.

ვსარგებლობ ამ შემთხვევით, რათა გამოვხატო ჩვენი ურყევი და მტკიცე გადაწყვეტილება—განვსაზღვროთ ჩვენი ბედი და უნგრელი ხალხის განვითარება, თავისუფლება, ეროვნული დამოუკიდებლობა, მშვიდობა და უშიშროება დავამყაროთ საბჭოთა კავშირთან სრული ნდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის მტკიცე ბაზაზე.

ჩვენთვის, უნგრეთის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელებისათვის, ყველაზე მაღლა სდგას ჩვენი მშრომელი ხალხის ინტერესები და ამიტომ ჩვენი დარბაზობა დიდ სიხარულს გვანიჭებს: ჩვენ ვიცით, რომ ეს დარბაზობა ემსახურება უნგრელი ხალხის ინტერესებს და უნგრელი ერის უფრო ბედნიერი და უშიშარი მომავლის საქმეს. მაგრამ ეს დარბაზობა ემსახურება აგრეთვე მთელი კაცობრიობის პროგრესის, მშვიდობისა და ახალი უკეთესი მომავლის საქმეს.

ჩვენ რომ ჩვენს ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან უფრო მჭიდროს ვხდით, ამით ვემსახურებით ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხის ინტერესებს, მსოფლიოს მილიონობით მშრომელს და ვუჩვენებთ ხალხთა მშვიდობიანი და ძმური თანამშრომლობის მაგალითს. ჩვენი ქვეყნების ცხოვრებაში არ ვაჭაჭანებთ იმპერიალისტურ ძალთა ხრიკებს, რომლებიც გზას ულობავენ კაცობრიობის პროგრესს და რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნან მშვიდობის დასარღვევად და განხეთქილებათა შესაქმნელად.

ვამთავრებ სიტყვას და უნგრელი ხალხის მხურვალე სალამს გადავცემ დიდი საბჭოთა კავშირის ხალხებს და განსაკუთრებულ სალამს — ქალაქ მოსკოვის გმირ მოქალაქეებს, რომლებმაც სახელოვან საბჭოთა არმიასთან ერთად თავიანთი ქალაქისაკენ გზა გადაუღობეს ფაშისტ ბარბაროსებს, დაიცვეს მისი ისტორიული კედლები და შეინარჩუნეს დედაქალაქი მოსკოვი — მშვიდობისა და კაცობრიობის პროგრესის ცენტრი.

უნგრეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ბ-ნ ლაიოშ დინიეშის სიტყვა

მოსკოვს ჩამოსვლისას კიევის ვაგზალზე უნგრეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ბ-ნმა ლაიოშ დინიეშმა შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა:

უნგრეთის მთავრობის დელეგაციის სახელით გულითადად გმადლობთ საამური მიღებისათვის. ჩვენ ყველანი გამსჭვალული ვართ დიდი სიხარულით და დიდი კმაყოფილების გრძნობით, რომ აქ, საბჭოთა კავშირის დედაქალაქში, მოსკოვში, კვლავ და პირადად შეგვიძლია გამოვთქვათ ჩვენი მადლიერება საბჭოთა კავშირის ხალხებისადმი გერმანიის ფაშიზმის უღლისაგან ჩვენი განთავისუფლების ისტორიული საქმისათვის და იმისათვის, რომ სახელოვანი საბჭოთა არმიის თავდადებული და გმირული ბრძოლების ფასად ჩვენს ქვეყანას დაუბრუნეთ დამოუკიდებლობა და უნგრელ ხალხს — თავისუფლება.

არა მარტო ჩემი სახელით და ჩვენი დელეგაციის სახელით, არამედ აგრეთვე უნგრელი ხალხის სახელით უდიდეს მადლობას გამოვთქვამ იმ საბჭოთა გმირებისადმი, რომლებმაც თავიანთი სიცოცხლე და სისხლი შესწირეს უნგრეთის განთავისუფლების საქმეს, და ამავე დროს მადლობას გამოვთქვამ საბჭოთა მთავრობისადმი დიდსულოვანი პოლიტიკისათვის, მადლობას იმ მთავრობისადმი, რომელმაც თავისი მატერიალური, მორალური და პოლიტიკური დახმარებით უზრუნველჰყო ნანგრევებიდან უნგრეთის აღორძინება და შექმნა იმის პირობები, რომ უნგრეთი წასულიყო დემოკრატიული განვითარების გზით და თავისი ადგილი დაეკავებინა დამოუკიდებელ და თავისუფლებისმოყვარე ხალხთა რიგებში.

ახალ უნგრეთს სურს ხელიხელჩაკიდებულმა იაროს ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხთან და, უწინარეს ყოვლისა, თავის დიდ მეზობელთან, მშვიდობის თანმიმდევრულ გუშაგთან, საბჭოთა კავშირთან, რომელიც წამყვანი სახელმწიფოა ხალხთა მშვიდობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

უნგრეთის მთავრობის დელეგაციის ეს დარბაზობა მოსკოვს მოწოდებულია ემსახუროს არა მარტო ჩვენი ხალხების მეგობრობის გაღრმავების საქმეს, არამედ აგრეთვე მთელ მსოფლიოში მშვიდობის დიად საქმეს, დემოკრატიისა და კაცობრიობის პროგრესის საქმეს.

დარწმუნებული ვარ, რომ ეს საპატიო მოწვევა, რომლითაც ჩვენ სიხარულით ვისარგებლეთ, უფრო დააახლოებს ჩვენს ხალხებს და უფრო წარმატებით გახდის საბჭოთა კავშირის კულტურულ, ეკონომიურ და პოლიტიკურ კავშირს უნგრეთთან.

განსაკუთრებული სიყვარულით მივესალმები გმირი ქალაქის მოსკოვის მოქალაქეებს.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობას!

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხს და მის დიდ ბელადს გენერალისიმუს სტალინს!

ვ. მ. მოლოტოვის საუბარი ბ-ნ მატიას რაკოშისთან და ბ-ნ ერიკ მოლნართან

16 თებერვალს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ვ. მ. მოლოტოვს საუბარი ჰქონდა უნგრეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილესთან ბ-ნ მატიას რაკოშისთან და საგარეო საქმეთა მინისტრ ბ-ნ ერიკ მოლნართან.

საუბარში მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა დესპანმა უნგრეთში გ. მ. პუშკინმა და უნგრეთის დესპანმა სსრ კავშირში ბ-ნმა დიულა სეკფიუმ. (საკდესი).

ისტორიის ფალსიფიკაჭორები

(ისტორიული ცნობა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV

„აღმოსავლეთის“ ფრონტის შექმნა, გერმანიის თავდასხმა სსრ კავშირზე. ანგლიკანელერული კოალიცია და სამოკავშირეთაშორისო მოვალეობათა საკითხი

1939 წლის აგვისტოში საბჭოთა კავშირ-გერმანიის თავდაუსხმელობის პაქტის დადებისას საბჭოთა კავშირის ერთი წუთითაც არ შეპპარვია ეჭვი იმაში, რომ ადრე თუ გვიან ჰიტლერი თავს დაესხმოდა სსრ კავშირს. საბჭოთა კავშირის ასეთი რწმენა გამომდინარეობდა ჰიტლერელთა ძირითადი პოლიტიკური და სამხედრო გეგზიდან. ამ რწმენას დასტურებდა ჰიტლერული მთავრობის პრაქტიკული საქმიანობა მთელ ომისწინა პერიოდში.

ამიტომ საბჭოთა მთავრობის პირველი ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ შეექმნა „აღმოსავლეთის“ ფრონტი ჰიტლერული აგრესიის წინააღმდეგ, ავეო თავდაცვის ხაზი ბელორუსიისა და უკრაინის მეწყლული დასავლეთ საზღვრებზე და ამგვარად მოეწყო ბარიერი გერმანიის ჯარების აღმოსავლეთისაკენ დაუბრკოლებელი წინსვლის წინააღმდეგ. ამისათვის საჭირო იყო შემოგვეერთებინა დასავლეთი ბელორუსია და დასავლეთი უკრაინა, რომლებიც 1920 წელს ხელშეწერილი ბალდის პოლონეთმა, საბჭოთა ბელორუსიასთან და საბჭოთა უკრაინასთან და აქ წაგვიწია საბჭოთა ჯარები. ამ საქმის დაყოფაში არ შეიძლებოდა, ვინაიდან პოლონეთის ცუდად აღჭურვილი ჯარები სუსტი აღმოჩნდნენ, პოლონეთის სარდლობა და პოლონეთის მთავრობა უკვე გაქცეული იყვნენ და ჰიტლერელთა ჯარებს, რომლებსაც სერიოზული დაბრკოლება არ ხვედებოდათ, შეეძლოთ უფრო ადრე დაეკავებინათ ბელორუსიისა და უკრაინის მეწყველი, ვიდრე იქ საბჭოთა ჯარები მივიდოდნენ.

1939 წლის 17 სექტემბერს საბჭოთა მთავრობის ბრძანებით საბჭოთა ჯარებმა გადალახეს საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ომამდელი საზღვარი, დაიკავეს დასავლეთი ბელორუსია და დასავლეთი უკრაინა და გააჩაღეს იქ თავდაცვის მშენებლობა უკრაინისა და ბელორუსიის მეწყლულ დასავლეთ ხაზის გაყოფებეთ. ეს ძირითადად სწორედ ის ხაზი იყო, რომელიც ისტორიაში ცნობილია როგორც „ერზონის“ ხაზი, რაც დადგენილ იქნა მოკავშირეთა ვერსალის კონფერენციაზე.

ამის შემდეგ რამდენიმე დღე რომ გავიდა, საბჭოთა მთავრობამ ხელი მოაწერა ხალბინსპირეთის სახელმწიფოებთან ურთიერთდახმარების პაქტებს, რომლებიც თვალსაჩინებდნენ ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვის ტერიტორიაზე საბჭოთა არმიის განლაგებების განლაგებას, საბჭოთა აეროდრომების მოწყობას და სამხედრო-საზღვაო ბაზების შექმნას.

ამგვარად შეიქმნა „აღმოსავლეთის“ ფრონტის საძირკველი.

ძნელი გასაგები არ იყო, რომ „აღმოსავლეთის“ ფრონტის შექმნა წარმოადგენდა სერიოზული წყლილის შეტანას არა მარტო სსრ კავშირის უშიშროების ორგანიზაციის საქმეში, არამედ იმ მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა საერთო საქმეშიც, რომლებიც ბრძოლას ეწეოდნენ ჰიტლერული აგრესიის წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, ინგლის-საფრანგეთ-ამერიკის წრეების დიდმა უმრავლესობამ საბჭოთა მთავრობის ამ ნაბიჯს ღვარძლიანი ანტისაბჭოთა კამპანიით უპასუხა და შეიფასა იგი როგორც აგრესია.

თუმცაღა, აღმოჩნდნენ ისეთი პოლიტიკური მოღვაწეებიც, რომლებსაც საკმაო გამჭრიახობა მოეპოვებოდათ იმისათვის, რომ გაეგოთ საბჭოთა პოლიტიკის აზრი და სწორად ეცნოთ „აღმოსავლეთის“ ფრონტის შექმნა. მათ შორის პირველი ადგილი ეკუთვნის ბ-ნ ჩერჩილს, მაშინ ჯერ კიდევ სამხედრო-საზღვაო მინისტრს, რომელმაც თავის გამოსვლაში რადიოით 1939 წლის 1 ოქტომბერს, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მთელი რიგი არამგობრული გამოსვლების შემდეგ, განაცხადა:

„ის, რომ რუსეთის არმიები ამ ხაზზე უნდა იმყოფებოდნენ, სრულიად აუცილებელი იყო რუსეთის უშიშროებისათვის გერმანიის მხრივ მუქარის წინააღმდეგ. ყოველ შემთხვევაში, პოზიციები დაკავებულია და შექმნილია აღმოსავლეთის ფრონტი, რომელზეც თავდასხმას ნაცისტური გერმანია ვერ გაბედავს, როცა ბ-ნი ფონ რიბენტროპი წარსულ კვირაში მოსკოვს გიწვევენ, ეს იმისათვის მოიმოქმედეს, რომ იგი გასცნობოდა ამ ფაქტს და ეღიარებინა, რომ ნაცისტების ზრახვებს ბალტიის სახელმწიფოებისა და უკრაინის მიმართ ბოლო უნდა მოეღოს“.

თუ სსრ კავშირის დასავლეთ საზღვრებზე მოსკოვიდან, მინსკიდან და კიევიდან მნიშვნელოვან მანძილზე სსრ კავშირის უშიშროების საქმე ცოტად თუ ბევრად დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში იყო, იგივე არ შეიძლებოდა გვეთქვა სსრ კავშირის ჩრდილოეთის საზღვრის შესახებ. აქ ლენინგრადიდან სულ რაღაც 32 კილომეტრის მანძილზე იდგა ფინეთის ჯარი, რომლის მეთაურთან შემოდგენლობის უმრავლესობა ჰიტლერული გერმანიის ორიენტაციისა იყო. საბჭოთა მთავრობამ კარგად იცოდა, რომ ფინეთის ხელმძღვანელი წრეების ფაშისტური ელემენტები, რომლებიც მჭიდროდ დაკავშირებული იყვნენ ჰიტლერელებთან და დიდი გავლენა ჰქონდათ ფინეთის არმიაში, მზისწინადღნენ ლენინგრადის დაპყრობისაკენ. არ შეიძლებოდა შემთხვევითობად ჩაგვეთვალა ის ფაქტი, რომ ჰიტლერული არმიის გენერალური შტაბის უფროსი ჰალდერი ჯერ კიდევ 1939 წლის ზაფხულში ჩავიდა ფინეთში, რათა ინსტრუქციები გაეწია ფინეთის არმიის უმაღლეს ხელმძღვანელობისა. ძნელი იყო იმაში ექვის შეტანა, რომ ფინეთის ხელმძღვანელ წრეებს კავშირი ჰქონდათ ჰიტლერელებთან, რომ მათ სურდათ გადაეკეთათ ფინეთი ჰიტლერდამდგარ ჰიტლერული გერმანიის თავდასხმისთვის სსრ კავშირზე.

ამიტომ ვასაკვირველი არ არის, რომ სსრ კავშირის ყველა ცდა—გამოეხმაურებინა ფინეთის მთავრობასთან საერთო ენა ორიგე ქვეყნის ურთიერთობის გაუმჯობესების საქმეში — უშედეგო აღმოჩნდა.

ფინეთის მთავრობამ ზედიზედ უარჰყო საბჭოთა მთავრობის ყველა მეგობრული წინადადება, რომლებიც მიმართული იყო სსრ კავშირის და, კერძოდ, ლენინგრადის უშიშროების უზრუნველყოფისაკენ, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირი აკმაყოფილებდა ფინეთის კანონიერ ინტერესებს.

ფინეთის მთავრობამ უარჰყო სსრ კავშირის წინადადება — გადაეწია ფინეთის საზღვარი კარელიის ყელზე რამდენიმე ათეული კილომეტრით, თუმცა საბჭოთა მთავრობა თანახმა იყო ამის ნაცვლად დაეთმო ფინეთისათვის საბჭოთა კარელიის ერთთორად მეტი ტერიტორია.

ფინეთის მთავრობამ უარჰყო აგრეთვე სსრ კავშირის წინადადება ურთიერთდახმარების პაქტის დადების შესახებ, რითაც ცხადყო, რომ სსრ კავშირის უშიშროება ფინეთის მხრივ უზრუნველყოფილი არ იყო.

ამ და ამის მსგავსი მტრული მოქმედებით და საბჭოთა კავშირ-ფინეთის საზღვარზე პროვოკაციებით ფინეთმა გააჩაღა ომი საბჭოთა კავშირთან.

საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომის შედეგები ცნობილია. სსრ კავშირის საზღვრები ჩრდილო-დასავლეთით და, კერძოდ, ლენინგრადის რაიონში გადაწეულ იქნა და სსრ კავშირის უშიშროება განმტკიცდა. ამან ნნიშვნელოვანი როლი შეასრულა საბჭოთა კავშირის თავდაცვაში ჰიტლერული აგრესიის წინააღმდეგ, ვინაიდან ჰიტლერელ გერმანია და მისი ფინელი დამქაში იძულებული გახდნენ დაეწყოთ თავიანთი შტეკვი სსრ კავშირის ჩრდილო-დასავლეთით არა ზედ ლენინგრადთან, არამედ იმ ხაზზეც, რომელიც თითქმის 150 კილომეტრ მანძილზე იყო მის ჩრდილო-დასავლეთით.

თავის ხატყვაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე 1940 წლის 29 მარტს ე. მ. მოლოტოვმა განაცხადა:

„...საბჭოთა კავშირმა, რომელმაც ომიდან დაამაცქა და რომელსაც სრული შესაძლებლობა ჰქონდა დაეკავებინა მთელი ფინეთი, არ მოისურვა ეს და არ მოითხოვა არავითარი კონტრიბუციი ომით გამოწეულთა თავისა ხარჯების ასანაზღაურებად, როგორც ამას ყოველი სხვა სახელმწიფო მოიმოქმედებდა, არამედ თავისა სურვილისა მინიმუმით განსაზღვრა...

საზღვრ ხელშეკრულებაში ჩვენ არ ვისახავდით არავითარ სხვა მიზანს, გარდა ლენინგრადის, მურმანსკისა და მურმანსკის რკინიგზის უშიშროების უზრუნველყოფისა“.

ალსანიშნავია, რომ თუმცა ფინეთის მმართველი წრეები მთელი თავისა პოლიტიკით სსრ კავშირის მიმართ ხელს უწყობდნენ ჰიტლერულ გერმანიას, ერთი ლიგის ინგლისელი და ფრანგი მესვეურები თავიდანვე დადგნენ ფინეთის მთავრობის მხარეზე, ლიგის შეშფოთებით გამოაცხადეს სსრ კავშირი „აგრესორად“, რითაც აშკარად მოიწონეს ფინეთის მმართველების მიერ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დაწყებული ომი და მხარი დაუჭირეს მას. ერთა ლიგამ, რომელმაც თავი შეარცხვინა იალმნელი და გერმანელ-იტალიელი აგრესორებისადმი წაყრუებითა და მათი წაქეზებით, ინგლისელ და ფრანგ მესვეურთა ბრძანებით მორჩილად მისცა ბმა რეზოლუციას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და დემოსტრაციულად „გარიცხა“ სსრ კავშირი ერთა ლიგიდან.

უფრო მტანე. ფინეთის რეაქციონერების მიერ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გაჩაღებულ ომში ინგლისი და საფრანგეთი ეხმარებოდნენ ფინეთის სამხედრო ხროვას. ინგლისის და საფრანგეთის მმართველი წრეები განუწყვეტელ აქეზებდნენ ფინეთის მთავრობას განეგრძო სამხედრო მოქმედება.

ინგლისსა და საფრანგეთის მმართველები სისტემატურად ამარაგებდნენ ფინეთს იარაღით და ენერგიულად ამზადებენ ფინეთში გასაგზავნად ასი ათასეულან საექსპედიციო კორპუსს.

ომის დაწყებიდან გასულ სამ თვეში ინგლისმა, ჩემბერლინის მიერ თქმთა პალატაში 1940 წლის 19 მარტს გაკეთებული განცხადების მიხედვით, ფინეთს გადასცა ასიერთი თვითმფრინავი, ორასზე მეტი ქვემეხი, ასეულ ათასობით ჯუმბარა, საავიაციო ბომბი და ტანსაწინააღმდეგო ნაღმი. ამავე დროს დალაგიმ დეპუტატთა პალატაში განაცხადა, რომ საფრანგეთმა ფინეთს გადასცა 175 თვითმფრინავი, 500-მდე ქვემეხი, ხუთი ათასზე მეტი ტყვიამფრქვევი, მილიონი ყუმბარა და ხელის გრანატი და სხვადასხვანაირი სხვა იარაღი.

თუ როგორი იყო ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობების ამ დროის გეგმები, ამაზე სრული წარმოდგენა შეიძლება ვიქონიოთ სამხსოვრო ბარათის მიხედვით, რომელიც ინგლისელებმა შვედეს გადასცეს 1940 წლის 2 მარტს. ამ მარათში ნათქვამი იყო:

„მოკავშირე მთავრობებს ესმით, რომ ფინეთის სამხედრო მდგომარეობა უსუგეშო ხდება. ყველა შესაძლებლობის გულმოდგინედ გახნილვის შემდეგ ისინი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ერთადერთი საშოალება, რომლითაც მათ შუძლიათ ეფექტიანი დახმარება აღმოუჩინონ ფინეთს, მოკავშირეთა ჯარების გაგზავნაა, და ისინი მზად არიან გაგზავნონ ასეთი ჯარები ფინეთის თხოვნის პასუხად“.*)

ამ დროს, როგორც 19 მარტს ინგლისის პარლამენტმა ჩემბერლენმა განაცხადა,

„საექსპედიციო ნაწილების გაგზავნისათვის მზადება მაქსიმალური სისწრაფით სწარმოებდა, და საექსპედიციო არმია ვასაგზავნად მზად იყო მარტის დამდეგს... ამ ვადამდე ორი თვით ადრე, რომელიც ფელდმარშალმა მანერჰეიმმა მათი ჩასვლისათვის დანიშნა“.

ჩემბერლენმა დასძინა, რომ ამ ნაწილების რაოდენობა 100.000 კაცს აღწევდა.

ამავე დროს საფრანგეთის მთავრობაც ამზადებდა ფინეთში გასაგზავნად ნარეკაზე ეგზედერ თავის პირველი რიგის საექსპედიციო კორპუსს 50.000 კაცის შემადგენლობით.

და ამ სამმარ აჭიტეობას ინგლისისა და საფრანგეთის მმართველები ჩაიღებენ იმ დროს, როცა ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ფრონტზე იწყებული და საფრანგეთი არავითარ აქტივობას არ იჩენდნენ და როცა იქ ეგრეთ წოდებული „უცნაური ომი“ სწარმოებდა.

მაგრამ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ფინეთისადმი სამხედრო დახმარება ინგლისელთა და ფრანგი იმპერიალისტების უფრო ფართო განზრახვის მხოლოდ ნაწილს წარმოადგენდა.

შვეიცის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხსენებულ „თეთრ წიგნში“ არის დოკუმენტი, რომელიც ეკუთვნის შვეიცის საგარეო საქმეთა მინისტრ ბეტერტერს. ამ დოკუმენტში ნათქვამია, რომ —

„ჯარების ამ კონტიგენტის გაგზავნა საბჭოთა კავშირზე თავდასხმის საერთო გეგმაში შედიოდა“ და რომ ეს გეგმა, „15 მარტიდან ამოქმედდებოდა ბაქოს წინააღმდეგ, ხოლო კიდევ „უფრო ადრე — ფინეთის გზით“.**)

თვეის წიგნში „დე გოლი—დიქტატორი“ კერილი ამ გეგმის შესახებ შემდეგს სწერდა:

„ამ გეგმის თანახმად, რომელის ძირითადი შინაარსი პოლ რეინომ***) გდეზმიცა წერილში, რაც ჩემთან ინახება, მტორიზებული საექსპედიციო კორპუსი ნორვეგიით ფინეთში გადასხდებოდა, სწრაფად გაპფინტვადა რუსეთის უწესრიგო ურდოებს და ლენინგრადზე წავიდოდა...“.****)

ამ გეგმას საფრანგეთში ამუშავებდნენ დე გოლი და გენერალი ვეიგანი, რომელიც მაშინ სირიაში მდგომი საფრანგეთის ჯარების სარდალი იყო და ტრანზიტორეა, რომ:

„ერთგვარი მაშველი ძალით და 200 თვითმფრინავით იგი დაიკავებდა კავკასიას და რუსეთში ისე შეიჭრებოდა, როგორც „დანა კარაქში“.

ცნობილია აგრეთვე საფრანგეთის გენერალ ვაფეანის მიერ 1940 წელს მემუშავებული გეგმა ინგლისელებისა და ფრანგების სომპარი მოქმედებისა სსრ კავშირის წინააღმდეგ. ამ გეგმაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ბაქოსა და ბათუმის დაბომბვას.

ინგლის-საფრანგეთის მმართველების მზადება სსრ კავშირზე თავდასხმისათვის მთელი ძალით იყო გაჩაღებული. ინგლისისა და საფრანგეთის გენერალური შტაბებში გულმოდგინედ ამუშავებენ ასეთი თავდასხმის გეგმებს. ამ ვაფპატონეს სურდათ **ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომის ნაცვლად სსრ კავშირის წინააღმდეგ დაეწყოთ ომი.**

მაგრამ ამ გეგმებს განხორციელება არ ეღირსა. ფინეთი ამ დროს განადგურებულ იქნა საბჭოთა ჯარების მიერ და იძულებული გახდა კაპიტულაცია მოეხდინა, მიუხედავად ინგლისისა და საფრანგეთის მთელი მეცადინეობისა ხელი შეეშალათ მისი კაპიტულაციისათვის.

1940 წლის 12 მარტს ხელმოწერილ იქნა საბჭოთა კავშირ-ფინეთის საზავო ხელშეკრულება.

ამრიგად გაუფუჭებესებულ იქნა ჰიტლერული აგრესიის წინააღმდეგ სსრ კავშირის თავდაცვის სამეგი ჩრდილოეთშიც, ლენინგრადის რაიონში, და თავდაცვის ხაზი გადაწეულ იქნა 150 კილომეტრით ლენინგრადის ჩრდილოეთით ვიბორგამდე, ამ ქალაქის ჩათვლით.

მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავდა, რომ უკვე დამთავრებული იყო „აღმოსავლეთის“ ფრონტის შექმნა ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე. ბალტიისპირეთის სახელმწიფოებთან ჰაპტები დადებული იყო, მაგრამ იქ ჯერ კიდევ არ იყვნენ საბჭოთა ჯარები, რომლებსაც შეეძლოთ თავდაცვა დაეკავებინათ. მოლდავეთი და ბუკოვინა ფორმალურად შემორთებული იყვნენ სსრ კავშირთან, მაგრამ იქ ჯერ კიდევ არ იყვნენ საბჭოთა ჯარები, რომლებსაც შეეძლოთ თავდაცვა დაეკავებინათ. 1940 წლის შუა ივნისში საბჭოთა ჯარები ესტონეთში, ლატვიასა და ლიტვაში შევიდნენ. იმავე წლის 27 ივნისს საბჭოთა ჯარები შევიდნენ ბუკოვინასა და მოლდავეთში, რომელიც რუმინეთმა ოკუპირმბრის რეკოლეფილის შემდეგ ჩამოაშლიდა სსრ კავშირს.

ამრიგად დამთავრდა ჰიტლერული აგრესიის წინააღმდეგ „აღმოსავლეთის“ ფრონტის შექმნა ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე.

ეს შესაძლებლობას მისცემდა ჰიტლერის ჯარებს მოეგოთ ასობით კილომეტრი სივრცე, 200-300 კილომეტრით მოაახლოებდა გერმანელთა ფრონტს ლენინგრად-მოსკოვ-მინსკ-კიევთან, სერიოზულად დაიჩარაგებდა გერმანელების წინსვლას სსრ კავშირის სიღრმეში, დაიჩარაგდა კიევისა და უკრაინის დაცმას, გამოიწვევდა მოსკოვის დაპყრობას გერმანელების მიერ, გამოიწვევდა ლენინგრადის დაპყრობას გერმანელთა და ფინელთა შეერთებული ძალების მიერ და აიძულებდა სსრ კავშირს გადასულიყო ხანგრძლივ თავდაცვაზე, რაც შესაძლებლობას მისცემდა გერმანელებს გაეთავისუფფლებინათ აღმოსავლეთში ორმოცდაათამდე დივიზია ინგლისის კუნძულეებზე გადასასმელად და ეგვიპტის რაიონში გერმანელ-იტალიელთა ფრონტის გასაძლიერებლად. სავსებით შესაძლებელია, რომ ინგლისის მთავრობას მოუხდებოდა კანადაში გაჩიზნულიყო, ხოლო ეგვიპტე და სუეცის არხი ხელში ჩაუვარდებოდნენ ჰიტლერს.

მაგრამ ეს კიდევ არ არის ყველაფერი. სსრ კავშირი იძულებულ გახდებოდა მეტი წილი თავისი ჯარები მანჯურიის საზღვრიდან „აღმოსავლეთის“ ფრონტზე გადაეყვანა თავისი თავდაცვის გასაძლიერებლად, ეს კი შესაძლებლობას მისცემდა იაპონელებს გეთავისუფფლებინათ მანჯურიაში 30-მდე დივიზია და გაეგზავნათ ისინი ჩინეთის წინააღმდეგ, ფილიპინნების წინააღმდეგ, საერთოდ დაეჩარაგებდა ინგლის-ამერიკელთა აზიის წინააღმდეგ. საბოლოო ანგარიშით — შორეულ აღმოსავლეთში ამერიკის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ.

ყოველივე კი გამოიწვევდა იმას, რომ ომი ორი წლით მაინც კიდევ გაქიანურდებოდა, და მერე მსოფლიო ომი დამთავრებოდა არა 1945 წელს, არამედ 1947 წელს ან რამდენადმე უფრო გვიან.

ასეთი იყო სამმის ვითარება „აღმოსავლეთის“ ფრონტის საკითხში.

ამავე დროს კი დასავლეთში ამბები თავისი გზით ვითარდებოდა. 1940 წლის აპრილში გერმანიელებმა „დაიკავეს დანია და ნორვეგია. შუა მაისში გერმანიის ჯარები შეეჯარნენ ჰოლანდიაში, ბელგიასა და ლუქსემბურგში. 21 მაისს გერმანელები ლანანს მიადგნენ და ჯზა მოუფრეს მოკავშირეებს ფლანდრიაში. მაისის დამლევს ინგლისის ჯარებმა დიუნკერკის ეკვაკეკინა მოახდინეს, საფრანგეთი დასტოვეს და ინგლისს გაემართნენ. შუა ივნისში დიეცა პარიზი. 22 ივნისს საფრანგეთმა კაპიტულაცია მოახდინა გერმანიის წინაშე.

ამრიგად ჰიტლერმა ფეხქვეშ გასთელა თავდაუსხმელობის ყველა და ყოველგვარი დეკლარაციეა საფრანგეთთან და ინგლისთან.

ეს იყო დამშვიდების პოლიტიკის, კოლეკტიურ უშიშროებაზე ხელის აღების პოლიტიკის, სსრ კავშირის იზოლაციის პოლიტიკის სრული ჩაფუშვა.

ცხადი გახდა, რომ სსრ კავშირის იზოლაციით საფრანგეთმა და ინგლისმა დაამსხვრიეს თავისუფლებისმოყვარე ქვეყნების ერთიანი ფრონტი, დაასუსტეს თავიანთი თავი და თვითონ აღმოჩნდნენ იზოლირებულნი.

1941 წლის 1 მარტს გერმანელებმა დაიკავეს ბულგარეთი.

5 აპრილს სსრ კავშირმა ხელი მოაწერა თავდაუსხმელობის პაქტს იუგოსლავიასთან.

ამავე წლის 22 ივნისს გერმანია თავს დაესხა სსრ კავშირს.

იტალია, რუმინეთი, უნგრეთი, ფინეთი ჩაებნენ სსრ კავშირის წინააღმდეგ ომში გერმანიის მხარეზე.

საბჭოთა კავშირი ჩაება განმათავისუფფლებელ ომში ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ.

ეგროპისა და ამერიკის სხვადასხვა ქვეყნები სხვადასხვანაირად მოეკიდნენ ამ ამბავს.

ჰიტლერის მიერ დამონებულმა ხალხებმა შეებინა ამოისუნთქეს, გადასა წყვეტეს, რომ ჰიტლერი ვისენის მოიტეხდა ორ ფრონტს შუა, დასავლეთისა და „აღმოსავლეთის“ ფრონტებს შუა.

საფრანგეთის მმართველი წრეები ღვარძლიან ხანმოკლე ეძლეოდნენ, ეკეთა არ შესდიოდათ, რომ „რუსეთი დამარცხებული იქნებოდა“ სულ მოკლე ხანში.

ამერიკის შეერთებული შტატების სენატის თვალსაჩინო წევრმა, ახლა კი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბ-ნმა ტრუმენმა სსრ კავშირზე გერმანიის თავდასხმის მეორე დღეს განაცხადა:

„თუ ჩვენ დაგინახავთ, რომ ომს გერმანია იგებს, უნდა დავეხმაროთ რუსეთს, ხოლო თუ გამარჯვება რუსეთისაკენ გადაიხრება, მაშინ უნდა დავეხმაროთ გერმანიას და, ამრიგად, დაე მათ რაც შეიძლება მეტი ხოცთ ერთმანეთი“.*)

ანალოგიური განცხადებები გაკეთა 1941 წელს დიდ ბრიტანეთში საგაიაციო მრეწველობის მაშინდელმა მინისტრმა მურ ბრაბაზონმა, რომელმაც განაცხადა, რამდენადაც კი დიდ ბრიტანეთს ეხება, აღმოსავლეთის ფრონტზე ბრძოლის საუკეთესო შედეგი იქნება გერმანიისა და სსრ კავშირის მიერ ერთმანეთის დასუსტება, რის შედეგადაც ინგლისი გაბატონებული მდგომარეობის დაკავებას შესძლებენ.

ეს გამოსვლები, უეჭველია, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის რეაქციული წრეების პოზიციის გამოხატულებას წარმოადგენენ.

მაგრამ ინგლისელი და ამერიკელი ხალბების უდიდესი უმრავლესობა განწყობილი იყო სსრ კავშირის სასარგებლოდ და მოითხოვდა საბჭოთა კავშირთან გაერთიანებას ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლისათვის.

ამ განწყობილების გამოხატულებად უნდა ჩითვალოს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ბ-ნ ჩერჩილის 1941 წლის 22-ივნისის განცხადება ომის შესახებ, რომ

„რუსეთისათვის შექმნილი საფრთხე ჩვენი საფრთხეა და ამერიკის შეერთებული შტატების საფრთხეა, ისევე როგორც ყოველი რუსის საქმე, რომელიც თავისი მიწაწყლისა და სახლკარისათვის იბრძვის, დედამიწის ზურგის ყოველი ნაწილის თავისუფალ ადამიანთა და თავისუფალ ხალხთა საქმეა“.

ასეთსავე პოზიციას დაიდგა სსრ კავშირის მიმართ რუზველტის მთავრობა ამერიკელ შეერთებულ შტატებში.

ამით დასაწყისი მოეცა ინგლის-საბჭოთა კავშირ-ამერიკის კოალიციას ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ.

ანტიჰიტლერულმა კოალიციამ მიზნად დაისახა ჰიტლერული რეჟიმის განადგურება და ჰიტლერული გერმანიის მიერ დამონებული ხალხების განთავისუფფლება. მოუხედავად ცალკეული მოკავშირე სახელმწიფოების იდეოლოგიისა და ეკონომიური სისტემის განსხვავებისა, ინგლის-საბჭოთა კავშირ-ამერიკის კოალიცია გახდა იმ ხალხთა მშვიერი კავშირი, რომლებმაც გაერთიანეს თავიანთი ღონისძიებანი ჰიტლერიზმის წინააღმდეგ განთავისუფლებელ ბრძოლაში.

რა თქმა უნდა, მაშინაც, ომის დროს, ჩქონდა ადგილი მოკავშირეთა შორის უთანხმოებას ზოგიერთ საკითხში. ცხობილია, მაგალითად, თუ რა ნნიშვნელოვანი ჰქონდა უთანხმოებას ისეთ სერიოზულ საკითხებში, როგორიც იყო მეორე ფრონტის გახსნის საკითხი, მოკავშირეების მოვალეობათა საკითხი, ერთმანეთის წინაშე მათი მორალური ვალის საკითხი.

ისტორიის ფალსიფიკატორები და ყველა ჯურის ცილისმწამებლები ეძიებენ ამ უთანხმოებას და ცდილობენ „დაამტკიცონ“, მოუხედავად აშკარა ფაქტებისა, რომ სსრ კავშირი არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო ერთგული და გულწრფელი მოკავშირე ჰიტლერული აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ რადგან ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლა და ამ ბრძოლაში სსრ კავშირის მოქმედება არავითარ მასალას არ იძლევა ასეთი ბრალდების სასარგებლოდ, ისინი მიმართავენ წარსულ, ომისწინა პერიოდს, და ამტკიცებენ, 1940 წელს ბერლინში ჰიტლერთან „მოლაპარაკების“ დროს საბჭოთა კავშირის წარმომადგენელები ეგრაგულად, არამოკავშირულად იქცეოდნენ.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო.

*) ბრიტანეთის მინის 1940 წლის 2 მარტის ნოტა, „ეგზეკუტივ სეიფარდ საბჭოთა საინფორმაციო „თეთრი წიგნი“, სტოკჰოლმი, 1947 წ., გვ. 120.

**) „ეგზეკუტივ სეიფარდ 2 მარტის სამმაოფარო შენიშვნები“, შვეიცის საგარეო საქმეთა სამინისტროს „თეთრი წიგნი“, სტოკჰოლმი, 1947 წ., გვ. 119.

***) ანონ ფენ ერეინოს, ამ დროს საფრანგეთის მთავრობის წევრი იყო.

****) ანონ ფენ ერეინოს, „დე გოლი—დიქტატორი“, მონრეალი, 1945 წ., გვ. 363-364.

*) „ნიუ-იორკ ტაიმსი“, 1941 წლის 24 ივნისი.

*) „ალმანახ ლენინგრადი“, № 30, № 31, № 34.

საკონტროლო საბჭოს სხდომა

ბერლინი, 14 თებერვალი. (საკდესი). საკონტროლო საბჭოს 11 თებერვალს შემდგარ სხდომაზე განხილულ იქნა გერმანიის დემილიტარიზაციისა და დემოკრატიზაციასთან დაკავშირებული საკითხები.

გერმანიის დემილიტარიზაციის შესახებ

საკონტროლო საბჭომ განიხილა საბჭოთა წინადადებანი საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მოსკოვის თათბირის 1947 წლის აპრილის გადაწყვეტილებათა შესრულების უზრუნველყოფის შესახებ. საბჭოთა მემორანდუმი ამ საკითხზე საკონტროლო საბჭოს სხდომას გადაეცა ჯერ კიდევ 31 იანვარს, მაგრამ მისი განხილვა გადაიდო ამერიკისა და ბრიტანეთის წარმომადგენლების თხოვნით. როგორც უკვე ვიუწყებოდით, ბრიტანელმა გენერალმა რობერტსონმა მაშინ ეჭვი გამოსთქვა, რომ ამ საკითხზე მოხერხდებოდა შეთანხმების მიღწევა, ვინაიდან საბჭოთა წინადადებებს თითქოს არა აქვს „კონსტრუქციული ფორმა“.

11 თებერვლის სხდომაზე ბრიტანეთისა და ამერიკის წარმომადგენლები იძულებული გახდნენ უარი ეთქვათ ამ საბაბზე საბჭოთა წინადადებების უარსაყოფად, ვინაიდან ეს საბაბი აშკარად უაზრო იყო. საბჭოთა მემორანდუმის წინადადებანი ითვალისწინებდნენ პრაქტიკულ ღონისძიებებს დემილიტარიზაციის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, რომლებსაც სავსებით კონკრეტული ხასიათი აქვთ და, მაშასადამე, ეგრეთწოდებული „კონსტრუქციული ფორმაც“. ამის გამო ამერიკისა და ბრიტანეთის წარმომადგენლებმა გადასწყვიტეს იერიში მიეტანათ საბჭოთა მემორანდუმის სამოტივაციო ნაწილზე, რომელიც შეიცავს გერმანიის დასავლეთ ზონებში დემილიტარიზაციის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის კრიტიკას. ამ წარმომადგენლებმა არ მოიყვანეს არავითარი კონკრეტული საბუთები და შეეცადნენ ლიტონი სიტყვით „უარეყოთ“ ოთხმხრივ გადაწყვეტილებათა უხეში დარღვევის ფაქტები დემილიტარიზაციის საკითხში ბიზონის საოკუპაციო ხელისუფალთა მხრივ. მაგრამ გერმანიაში ყველასათვის კარგად არის ცნობილი, რომ ბიზონიის დემილიტარიზაცია ფაქტიურად არ ტარდება და დემილიტარიზაციის საკითხის შესახებ ყველა ოთხმხრივ გადაწყვეტილებას საბოტაჟს უწევენ.

მაგალითად, ოკუპაციის ამერიკულ ზონაში „სამოქალაქო გვარდიის“ და „სამრეწველო პოლიციის“ სახით ინარჩუნებენ და ჰქმნიან სამხედრო ტიპის ახალ გერმანულ ფორმირებებს, რომელთა რიგებში უკვე ახლა ითვლება 50 ათასზე მეტი კაცი. ზონაში არის აგრეთვე პოლონეთის სამხედრო ფორმირებანი, რომელთა პირადი შემადგენლობა 40 ათასამდე კაცს უდრის, და სხვა ეროვნების პირთაგან შემდგარი რაზმები, რომლებშიც სულ მცირე 20 ათასი კაცია. ოკუპაციის ბრიტანულ ზონაში ჯერ კიდევ არ დაუშლიათ „მუშათა ჯგუფები“, „სატრანსპორტო ასეულები“, „ტრალირების რაზმები“ და ყოფილი ჰიტლერული შეიარაღებული ძალების სხვა სამხედრო ფორმირებანი. ფრანგული გაზეთის „აქსიონის“ კორესპონდენტი ამ დღეებში სწერდა, რომ ამ ფორმირებებმა მხოლოდ თავიანთი სამხედრო ფორმის ფერი შესცვალეს. გარდა ამისა, ბრიტანულ ზონაში დატოვებულია პოლონური ფორმირებანი ანდერსის პროფაშისტური არმიიდან, „იუგოსლავიის სამეფო არმიის“ ფაშისტური ნაწილები და სხვა მსგავსი ფორმირებანი. საგარეო საქმეთა მინისტრების მოსკოვის თათბირზე ამერიკისა და ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრების განცხადების თანახმად გერმანული სამხედრო ფორმირებანი დაშლილ უნდა ყოფილიყვნენ ამერიკულ ზონაში ჯერ კიდევ 1947 წლის ივნისისათვის, ხოლო ბრიტანულ ზონაში— 1947 წლის 31 დეკემბრისათვის. მაგრამ დღემდე ეს არ შესრულებულა და საკონტროლო საბჭოს არ მიუღია ანგარიშები ამ ფორმირებათა დაშლის შესახებ.

დასავლეთ ზონებში არც სამხედრო ქარხნების ლიკვიდაციისა და სამხედრო ობიექტებისა და ნაგებობათა მოსპობის საქმეა უკეთეს მდგომარეობაში. თვით ამერიკული ადმინისტრაციის ცნობებით ამერიკულ ზონაში არის პირველი კატეგორიის 130 სამხედრო ქარხანა, ხოლო ლიკვიდაციის გეგმები დამტკიცებულია მარტო 52 ქარხნის მიმართ. ამერიკელ ხელისუფალთა მოჩვენებითი მოქმედება ცალკეული სამხედრო ქარხნების ლიკვიდაციის დარგში ვერ დაჰფარავს იმ ფაქტს, რომ ამერიკულ ზონაში გერმანიის სამხედრო პოტენციალის ლიკვიდაციას ფაქტიურად საბოტაჟს უწევენ. ინგლისური ადმინისტრაციის ცნობებით ბრიტანულ ზონაში არის პირველი კატეგორიის 284 სამხედრო ქარხანა. მაგრამ დღემდე დამტკიცებულია მხოლოდ 139 ქარხნის ლიკვიდაციის გეგმები. ბიზონიაში სამხედრო ქარხნების მოწყობილობას იტაცებენ და მალავენ. საკონტროლო საბჭოს № 22 დირექტივის საწინააღმდეგოდ ამერიკულ და ბრიტანულ ზონებში ინარჩუნებენ სამხედრო ობიექტებსა და ნაგებობებს, რომლებსაც სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა აქვთ. ამერიკულ ზონაში 196 სამხედრო ქარხნიდან, საწყობიდან და სახელოსნოდან მოსპობილია მხოლოდ 25, ხოლო 151-ს იყენებენ საოკუპაციო ხელისუფალნი, თუმცა ეს აკრძალულია საკონტროლო საბჭოს მიერ. დატოვებულია აგრეთვე 162 ხანგრძლივი საფორტიფიკაციო ნაგებობა, რომლებიც, № 22 დირექტივის თანახმად, აუცილებლად უნდა იქნან მოსპობილი. ბრიტანულ ზონაში ჯერ კიდევ არ არის მოსპობილი 1.518 საზენიტო დანადგარი და 860 ხანგრძლივი საფორტიფიკაციო ნაგებობა. სამხედრო-საზღვაო ბაზებიდან დემილიტარიზებულია მხოლოდ ერთი — ჰელგოლანდი, ხოლო ისეთი მსხვილი სამხედრო-საზღვაო ბაზები, როგორიც არის ვილჰელმსჰაფენი, კილი, კუქსჰაფენი და სხვები დღემდე დემილიტარიზებული არ არის.

ყველა ეს და მრავალი სხვა ფაქტი აშკარად მოწმობს, რომ ინგლის-ამერიკული ზონის საოკუპაციო ხელისუფლებს არ სურთ შეასრულონ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს გადაწყვეტილებანი გერმანიის დემილიტარიზაციის შესახებ. მიუხედავად ამისა, გენერლები კლეი და რობერტსონი, აგრეთვე ფრანგი გენერალი კენიგი, რომელიც მათ შეუერთდა, ვითომდა ნაწყენი დარჩნენ საბჭოთა მოტივაციით, რომელიც მიუთითებდა დასავლეთ ზონებში დემილიტარიზაციის არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაზე. მათ ფორმალური მიზეზებით თავი აარიდეს დემილიტარიზაციის შესახებ საბჭოთა კავშირის კონკრეტულ წინადადებათა განხილვას და შეეცადნენ გავლენაც კი მოეხდინათ საბჭოთა დელეგაციაზე, რომ მას საერთოდ ხელი აეღო გერმანიის დასავლეთ ზონებში შექმნილი არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის სამართლიან კრიტიკაზე. ამ ცდას სათანადო წინააღმდეგობა გაუწიეს საბჭოთა წარმომადგენლებმა. საბჭოთა მხარემ განაცხადა, რომ საბჭოთა მემორანდუმი შეიცავს სავსებით კონკრეტულ წინადადებებს, რომლებიც ეხებიან დემილიტარიზაციის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მიერ მოსკოვში მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელებას.

ეს წინადადებანი განხილულ უნდა ყოფილიყო საკონტროლო საბჭოს მიერ. თუ მიუხედავად ამისა გენერალ კლეისა და რობერტსონს არ სურთ ამ საკითხის განხილვა, ისინი ამით კისრულობენ მთელ პასუხისმგებლობას გერმანიის დემილიტარიზაციის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს გადაწყვეტილებათა შესრულების ჩაშლისათვის.

სხდომის თავმჯდომარის ფრანგი გენერლის კენიგის აქტიური მხარდაჭერით რობერტსონმა და კლეიმ მოახერხეს გერმანიის დემილიტარიზაციის შესახებ საბჭოთა მემორანდუმის განხილვის მოხსნა.

მაგრამ ამერიკის, ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლები, გრძნობდნენ რა იმ მდგომარეობის უხერხულობას, რომელშიც ისინი აღმოჩნდნენ საკონტროლო საბჭოს მუშაობის პროცედურის ელემენტარული საფუძვლების უხეში დარღვევის შედეგად, მაინც დაუბრუნდნენ მას „სხვადასხვა საკითხებში“, და ცდილობდნენ თავი გაემართლებინათ და დაეძვრინათ ფორმალურ განმარტებათა მოხმობით. საბჭოთა წარმომადგენელმა მარშალმა სოკოლოვსკიმ ერთხელ კიდევ აღნიშნა, რომ როცა ამერიკის, ბრიტანეთისა და საფრანგეთის დელეგაციები დაჟინებით მოითხოვენ დღის წესრიგიდან საბჭოთა მემორანდუმის მოხსნას, რომელიც ემყარება საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მიერ მოსკოვში 1947 წლის აპრილში მიღებულ გადაწყვეტილებებს, ისინი აშკარად ცხადჰყოფენ, რომ მათ არ სურთ პრაქტიკულად განახორციელონ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მოსკოვის კონფერენციის გადაწყვეტილება გერმანიის დემილიტარიზაციის შესახებ.

ამის შემდეგ საკონტროლო საბჭო გადავიდა დღის წესრიგის მეორე პუნქტის განხილვაზე, რომელიც აგრეთვე შეეხება დემილიტარიზაციის პრობლემას. განხილულ იქნა მეორე კატეგორიის აკრძალული ქარხნების სიების შედგენის ღონისძიებათა საკითხი და მრეწველობის ზოგიერთი იმ დარგის აკრძალვის კანონის განხორციელების საკითხი, რომლებსაც პირდაპირი დამოკიდებულება აქვს სამხედრო წარმოებასთან. ჯერ კიდევ 1946 წლის მარტში საკონტროლო საბჭომ დაამტკიცა გერმანიის მრეწველობის აკრძალული დარგების ნუსხა. ამ ნუსხის მიხედვით ეკონომიურმა დირექტორატმა უკვე დაიწყო მეორე კატეგორიის აკრძალული ქარხნების სიების შედგენა. მაგრამ ამ მუშაობას დაბრკოლებებს უქმნიდნენ თავიანთ ზონებში ბრიტანელი და ამერიკელი საოკუპაციო ხელისუფალნი, რის გამო საკონტროლო საბჭოს წინაშე წარმოიშვა იმის საჭიროება, რომ ზომები მიეღო ამ დაბრკოლებათა აღსაკვეთად. ამასთან ერთად საფრანგეთის დელეგაციამ საკონტროლო საბჭოს განსახილველად წამოაყენა წინადადება გერმანიის მრეწველობის ზოგიერთი დარგების აკრძალვის ახალი კანონის შედგენის შესახებ.

იმ აშკარა მიზნით, რომ ხელი შეეშალა ამ საკითხში თვალსაზრისების დასახული დაახლოებისათვის და შეთანხმებული გადაწყვეტილების მიღებისათვის, გენერალმა კლეიმ საკონტროლო საბჭოს სხდომაზე წამოაყენა უაზრო წინადადება — მეორე კატეგორიის აკრძალული გერმანული ქარხნების სიების შედგენის საკითხი დამოკიდებული გაეხადათ არა მარტო გერმანიის, არამედ... მთელი ევროპის ეკონომიურ მოთხოვნილებებზე. ამით კლეიმ ჩაშალა მეორე საკითხის განხილვა გერმანიის დემილიტარიზაციის შესახებ და ამასთან ითხოვდა, რომ საკონტროლო საბჭოს მოეწონებინა ყბადაღებული „მარშალის გეგმა“.

ამ უხეშ ცდას არ შეეძლო არ გამოეწვია საბჭოთა წარმომადგენლების წინააღმდეგობა. მარშალმა სოკოლოვსკიმ განაცხადა: „ევროპის მოთხოვნილებანი გათვალისწინებულია პოტსდამის გადაწყვეტილებებში. ეს მოთხოვნილებებია, ჯერ ერთი, გერმანიის დემილიტარიზაცია, მეორე, მისი დემოკრატიზაცია, და, მესამე, გერმანიის აგრესიისაგან დაზარალებული ევროპის ქვეყნებისათვის გერმანული რეპარაციების შესახებ შეთანხმების შესრულება. მაგრამ აშკარაა, რომ ევროპის ქვეყნების ამ მოთხოვნილებებს, რომელთა შესახებ გადაწყვეტილება მიღებულია პოტსდამში, ამერიკისა და ბრიტანეთის სარდლობის წარმომადგენლებს არ სურთ ანგარიში გაუწიონ. ეს მათ ერთხელ კიდევ დაადასტურეს დღეს გერმანიის დემილიტარიზაციის შესახებ დღის წესრიგის პირველი საკითხის განხილვისას, როცა მათ მოახერხეს დღის წესრიგიდან ამ საკითხის განუხილველად მოხსნა. საბჭოთა სარდლობა ემხრობოდა და ემხრობა გერმანიის მშვიდობიანი მრეწველობის განვითარებას, მაგრამ ამასთან ერთად, იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მრეწველობის დონის ამაღლებამ არ უნდა გამოიწვიოს გერმანიის სამხედრო პოტენციალის ამაღლება. ამიტომ საბჭოთა დელეგაცია ვერ ხედავს მიზეზებს, თუ რატომ უნდა იქნას შეჩერებული მუშაობა მეორე კატეგორიის აკრძალული ქარხნების სიების შესადგენად“.

გენერლებმა რობერტსონმა და კენიგმა ერთგვარი უხერხულობა იგრძნეს, მაგრამ მაინც განაგრძობდნენ კლეის მხარდაჭერას, რითაც ერთხელ კიდევ ცხადჰყვეს, რომ მათ არ სურთ მეორე კატეგორიის აკრძალული სამხედრო ქარხნების სიების შედგენა.

გენერალ კენიგის საქციელის მიხედვით საფრანგეთის მემორანდუმი გერმანიის მრეწველობის ზოგიერთი დარგის აკრძალვის ახალი კანონის შედგენის შესახებ სხვანაირად არ შეიძლება შეფასებულ იქნას, თუ არა როგორც იმის ცდა, რომ რევიზია გაუწიოს საკონტროლო საბჭოს წინანდელ გადაწყვეტილებებს, რომლებითაც დაწესებულია აკრძალული მრეწველობის დარგების ნუსხა, იმ საბაბით, რომ საჭიროა ამის შესახებ სპეციალური ახალი კანონის გამოშვება. საბჭოთა დელეგაცია არ წასულა კანონის გამოცემის წინააღმდეგ, მაგრამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ვინაიდან საფრანგეთის მემორანდუმის განხილვა ჩაშალა ამერიკის წარმომადგენელმა, კვლავ ძალაში რჩება საკონტროლო საბჭოს მიერ ყველა წინათ მიღებული გადაწყვეტილება, რომლებიც განსაზღვრავენ გერმანიის მრეწველობის აკრძალული დარგების ნუსხას.

დემილიტარიზაციის შესახებ მეორე საკითხის განხილვაც მოიხსნა დღის წესრიგიდან, ამრიგად, ამერიკისა და ბრიტანეთის წარმომადგენლებმა საკონტროლო საბჭოში საფრანგეთის წარმომადგენლის დახმარებით, რომელიც მათ მორჩილად მისდევს, მოახერხეს გერმანიის დემილიტარიზაციის შესახებ ორი დიდმნიშვნელოვანი საკითხის დღის წესრიგიდან მოხსნა და ამით ერთხელ კიდევ ცხადჰყვეს თავიანთი ნამდვილი პოლიტიკა გერმანიის დასავლეთ ზონების დემილიტარიზაციის საბოტაჟისა და ჩაშლისა, რაც მიმართულია მშვიდობის უზრუნველყოფის ინტერესებისა და ევროპის ხალხთა უშიშროების წინააღმდეგ.

ინგლის-ამერიკის მიერ გერმანიაში კულტურისა და დემოკრატიის დევნის შესახებ

შემდეგ საკონტროლო საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა საბჭოთა დელეგაციის მიერ აღძრული საკითხი ბერლინის ამერიკულ და ბრიტანულ სექტორებში გერმანელი ინტელიგენციის დემოკრატიული ორგანიზაციის „კულტურბუნდის“ აკრძალვის შესახებ. საბჭოთა წარმომადგენელმა წინადადება მისცა ამერიკისა და ბრიტანეთის წარმომადგენლებს, რომ მათ მითითება მისცენ ბერლინის თავიანთ კომენდანტებს, რათა გადასინჯონ თავიანთი პოზიცია „კულტურბუნდისადმი“ კეთილსასურველი დამოკიდებულების მხრივ. ამერიკისა და ბრიტანეთის წარმომადგენლებმა უარი სთქვეს მიეღოთ ეს საბჭოთა წინადადება და მტკიცედ მოითხოვდნენ, რათა „კულტურბუნდმა“ შემოიტანოს ახალი შუამდგომლობა, რომ იგი დაშვებულ იქნას ბერლინის ბრიტანულ და ამერიკულ სექტორებში, თუმცა ამ კულტურული ორგანიზაციის საქმიანობა, რომელშიც შედიან გერმანიის ყველა პოლიტიკური მიმართულების მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლები, ნებადართულ იქნა ჯერ კიდევ 1945 წელს მთელი ქალაქის ტერიტორიაზე. საბჭოთა წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მას არ შეუძლია დაეთანხმოს ინგლის-ამერიკის თვითნებობას ბერლინში, რაც მიმართულია კულტურულ-დემოკრატიული ორგანიზაციების ჩახშობისაკენ. თუ ბერლინის კომენდანტები დაადგებიან დემოკრატიის დევნის გზას და საკონტროლო საბჭო ამას წინააღმდეგობას არ გაუწევს, მაშინ დემოკრატიზაციისაგან ბერლინის მთელ რიგ სექტორებში და გერმანიის ზოგიერთ რაიონებში აღარაფერი დარჩება.

ამერიკისა და ბრიტანეთის წარმომადგენლებმა წამოაყენეს ფორმალური შენიშვნები და არწმუნებდნენ საკონტროლო საბჭოს, რომ ისინი „პრინციპულად“ წინააღმდეგი არ არიან „კულტურბუნდისა“, მაგრამ მაინც თავი აარიდეს ბერლინის თავიანთ სექტორებში „კულტურბუნდის“ უკანონო აკრძალვის გაუქმებას. ამრიგად, ბერლინში კვლავ დარჩა ისეთი მდგომარეობა, როცა ზოგიერთ სექტორში (სახელდობრ საბჭოთა და ფრანგულ სექტორებში) ნებადართულია კულტურული გერმანული ორგანიზაცია „კულტურბუნდი“, ხოლო სხვა სექტორებში (ბრიტანულსა და ამერიკულში)—იგი აკრძალულია და დევნას განიცდის.

შემდეგ საბჭოთა წარმომადგენელი გამოვიდა განცხადებით გერმანიის სამ დასავლეთ ზონაში გერმანიის ერთიანობისა და სამართლიანი მშვიდობისათვის სახალხო კონგრესის დემოკრატიული მოძრაობის დევნის შესახებ. საბჭოთა სარდლობის განცხადებაში ნათქვამია:

„ერთიანობისა და სამართლიანი მშვიდობისათვის გერმანიის სახალხო კონგრესის მუდმივი კომიტეტის წარმომადგენლებმა დოქტორმა ვილჰელმ კიულცმა, ვილჰელმ პიკმა და ოტო ნუშკემ წერილით მიმართეს ზონების სარდლებსა და საკონტროლო საბჭოს იმის გამო, რომ ამერიკის, ბრიტანეთისა და საფრანგეთის საოკუპაციო ხელისუფლებმა აკრძალეს სახალხო კონგრესები გერმანიის დასავლეთ ზონებში. ცნობილია, რომ სახალხო კონგრესის მოძრაობამ მოიცვა გერმანელი ხალხის ფართო ფენები და დიდი პოპულარობით სარგებლობს. გერმანიის ერთიანობის აღდგენისათვის ბრძოლის ეს სახალხო მოძრაობა გერმანელი მოსახლეობის თანაგრძნობასა და აქტიურ მხარდაჭერას პოულობს, იგი არ ეწინააღმდეგება არც პოტსდამის გადაწყვეტილებებს, არც გერმანიის მაოკუპირებელი სახელმწიფოების სხვა ვალდებულებებს, რომლებმაც მიზნად დაისახეს გარდაქმნან გერმანიის პოლიტიკური ცხოვრება მშვიდობიან და დემოკრატიულ საფუძველზე გერმანიის ერთიანობის შენარჩუნების პირობებში.

საბჭოთა სარდლობა ითვალისწინებს დიდ მნიშვნელობას, რომელიც სახალხო კონგრესის მოძრაობას აქვს გერმანიის ერთიანობის აღდგენისათვის, და საკონტროლო საბჭოს განსახილველად შეაქვს შემდეგი წინადადებანი:

1. ნებადართულ იქნას სახალხო კონგრესის კომიტეტების დაუბრკოლებელი საქმიანობა გერმანიის მთელ ტერიტორიაზე;

2. გაუქმდეს ამერიკის, ბრიტანეთისა და საფრანგეთის საოკუპაციო ხელისუფალთა გადაწყვეტილებანი სახალხო კონგრესის კომიტეტების განვითარებისა და საქმიანობის აკრძალვის შესახებ ამერიკულ, ბრიტანულ და ფრანგულ ზონებში.

საბჭოთა სარდლობა ფიქრობს, რომ საკონტროლო საბჭოს მიერ ამ წინადადებათა მიღება ხელს შეუწყობს გერმანიის დემოკრატიზაციისა და მისი ერთიანობის აღდგენის საქმის განხორციელებას“.

ბრიტანელი გენერალი რობერტსონი შეეცადა გაემართლებინა ბრიტანულ ზონაში სახალხო კონგრესის კომიტეტების საქმიანობის აკრძალვა იმით, რომ მისი აზრით, ერთიანობისა და სამართლიანი მშვიდობისათვის სახალხო კონგრესის მოძრაობა „არარეგულარული და არაგულწრფელია“. შემდეგ გენერალმა რობერტსონმა განაცხადა, რომ იგი სახალხო კონგრესის მოძრაობას სთვლის „ერთი პოლიტიკური პარტიის ფანდებად“, თუმცა ბრიტანელი გენერლისათვის კარგად უნდა იყოს ცნობილი, რომ ბერლინის, ბრემენისა და სხვა ქალაქების კონგრესებში მონაწილეობდნენ გერმანიის ყველა ძირითადი დემოკრატიული პარტიისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლები. ამერიკელი გენერალი კლეი დასჯერდა უაზრო შენიშვნას იმის შესახებ, რომ მან არ იცის, თუ „ვის წარმოადგენენ სახალხო კონგრესის ეს ჯგუფები“. საბჭოთა წარმომადგენელმა უპასუხა ბრიტანეთის წარმომადგენელს: სახალხო კონგრესის მოძრაობას გერმანიის მოსახლეობა, რომ მხარს არ უჭერდეს, ბრიტანეთის ხელისუფალთ მიზეზი აღარ ექნებოდათ შინებოდათ ამ მოძრაობისა, და აეკრძალათ იგი. საბჭოთა წარმომადგენელმა დასძინა, რომ მას უხერხულად მიაჩნია უპასუხოს გენერალ კლეის, რომელიც ყოველთვის გამოდის ყოველგვარი მოწინავე დემოკრატიული იდეის წინააღმდეგ, მაგრამ ეს უფლებას არ აძლევს გენერალ კლეის დაარღვიოს პოტსდამის კონფერენციის გადაწყვეტილებები გერმანიის დემოკრატიზაციის დარგში.

როგორც გერმანიის დემოკრატიზაციასთან დაკავშირებული ზემოთჩამოთვლილი საკითხების განხილვის მსვლელობით დადასტურდა, ამერიკისა და ბრიტანეთის წარმომადგენლები კვლავაც ფიქრობენ გაატარონ თავიანთ ზონებსა და სექტორებში აკრძალვის და პოლიციური დევნის პოლიტიკა გერმანიის დემოკრატიული და კულტურული ორგანიზაციების წინააღმდეგ. ასეთი პოლიტიკა წარმოადგენს იმ ვალდებულებათა დარღვევას, რომლებიც მაოკუპირებელმა სახელმწიფოებმა იკისრეს გერმანიაში პოლიტიკური ცხოვრების დემოკრატიულ საფუძველზე გარდაქმნის შესახებ, და მას, ბუნებრივია, საბჭოთა სარდლობა კვლავაც წინააღმდეგობას გაუწევს.

ფულის რეფორმის საკითხისათვის

საკონტროლო საბჭოს ღია სხდომის შემდეგ შესდგა მისი ვიწრო დახურული სხდომა გერმანიაში ფულის რეფორმის გატარების საკითხებზე. როგორც სჩანს, ამერიკელ გენერალ კლეის ყველა ულტიმატურ მოთხოვნას—დაუყოვნებლივ ჩატარდეს რეფორმა ამერიკული რეცეპტით, არავითარი გავლენა არ მოუხდენია მიუხედავად შანტაჟისა და მუქარისა მის მხრივ. ფულის რეფორმის საკითხის განხილვა გრძელდება, ამასთან, როგორც გერმანულ პრესაში აუწყებიან, იგი სწარმოებს როგორც ამერიკული, ისე საბჭოთა წინადადებების საფუძველზე. მეორე მხრივ, ცხადია, რომ ამერიკისა და ბრიტანეთის საოკუპაციო ხელისუფალთ სრულიადაც არ დაუტოვებიათ აზრი გერმანიის დასავლეთ ზონებში ფულის სეპარატული რეფორმის გატარების შესახებ. პრესის ცნობებით, ეს საკითხი განხილული იქნება სპეციალურად ინგლის-საფრანგეთ-ამერიკის კონფერენციაზე 19 თებერვალს ლონდონში. ამ კონფერენციას აქეურ დემოკრატიულ წრეებში აფასებენ როგორც შემდგომ საშიშ ნაბიჯს გერმანიის საბოლოო გათიშვისაკენ, რაც ამერიკის იმპერიალიზმის საამებლად ტარდება.

ავსტრიის საკითხთა სამოკავშირეო საბჭოში

ვენა, 15 თებერვალი. (საკდესი). 13 თებერვლის მორიგ სხდომაზე ავსტრიის საკითხთა სამოკავშირეო საბჭო განაგრძობდა ავსტრიის მთავრობის ფუნქციათა გაფართოების საკითხის განხილვას. საბჭოთა წარმომადგენელმა ჯერ კიდევ წარსულ სხდომაზე უარჰყო ამერიკის მხარის პესიმისტური აზრი ავსტრიის ხელშეკრულების დადების პერსპექტივათა შესახებ და შეიტანა ავსტრიის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის განმტკიცებისაკენ მიმართული შორსგამიზნული წინადადებანი. მან წინადადება შეიტანა მოხდეს ლიკვიდაცია სამხედრო მთავრობებისა, რომლებიც ჯერ კიდევ არსებობენ დასავლეთ ზონებში, გაუქმდეს სამხედრო სასამართლოთა იურისდიქცია ავსტრიელი მოქალაქეებისადმი და დათხოვნილ იქნას სამხედრო პოლიცია ან არ ვრცელდებოდეს მისი მოქმედება ავსტრიელ მოქალაქეებზე (გარდა იმ საქმეებისა, რომლებიც დაკავშირებულია საოკუპაციო ძალების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთან), უფასოდ გადაეცეს ავსტრიის მთავრობას ავსტრიის ტერიტორიაზე აგებული ყველა რადიოსადგური, რომლებიც ჯერ კიდევ მოკავშირე ხელისუფალთა ხელშია, და სხვ.

საბჭოთა კავშირის, ამერიკისა და საფრანგეთის მხარეები მაშინ დათანხმდნენ საბჭოთა და ამერიკის წინადადებანი შესასწავლად გადაეცათ შესაბამისი დირექტორატებისათვის. მაგრამ გადაწყვეტილების მიღება ჩაშალა ბრიტანეთის წარმომადგენელმა, რომელმაც უარი სთქვა მხარი დაეჭირა ყველა სხვა მხარის თვალსაზრისისათვის იმ საბაბით, რომ საბჭოთა წინადადებანი წინასწარ უნდა შეესწავლოთ.

13 თებერვალს ამერიკის წარმომადგენელმა უარი სთქვა წინათ მიცემულ თანხმობაზე და შეუერთდა ავსტრიის სუვერენიტეტის განმტკიცებისათვის უმნიშვნელოვანესი ღონისძიების ჩაშლის ტაქტიკას.

ამერიკის წარმომადგენლის გამოსვლამ სავსებით ცხადჰყო, რომ ამერიკის მხარეს არა მარტო არ სურს დათანხმდეს, რომ განხორციელდეს საბჭოთა წინადადებანი ავსტრიის მთავრობის სუვერენულ უფლებათა გაფართოების შესახებ, არამედ მას სრულიად არ უფიქრია სერიოზულად თავის საკუთარ წინადადებათა ნამდვილ განხორციელებაზე, რომლებიც ნავარაუდევი იყო იაფი საპროპაგანდო ეფექტის მოსახდენად და საზოგადოებრივი აზრის მოსატყუებლად.

ნიღაბი ახდილ იქნა, როგორც კი საბჭოთა წარმომადგენელმა წინადადება შეიტანა დაევალებინათ დირექტორატებისათვის — შეესწავლათ საბჭოთა და ამერიკის წინადადებანი. ამავე დროს პოლიტიკურ დირექტორატს, საბჭოთა წარმომადგენლის წინადადებით, უნდა შეესწავლა ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველჰყოფდნენ, რომ ავსტრიის მთავრობა არ მისცემს არც ერთ მაოკუპირებელ სახელმწიფოს კონტროლის რაიმე განსაკუთრებულ უფლებებს, რაც გათვალისწინებული არ არის 1946 წლის 28 ივნისის საკონტროლო შეთანხმებით, და გააუქმებს ვალდებულებებს, რომლებითაც მან წინათ მისცა ასეთი უფლებები.

საფრანგეთის წარმომადგენელი ჯერ მზად იყო დათანხმებოდა ამას, მაგრამ ამერიკის უმაღლესმა კომისარმა გადაჭრით სთქვა უარი რომელიმე მაოკუპირებელი სახელმწიფოსათვის კონტროლის იმ განსაკუთრებულ უფლებათა ჩამორთმევის საკითხის შესწავლაზე, რომლებიც ეწინააღმდეგებიან 1946 წლის 28 ივნისის საკონტროლო შეთანხმებას.

ამით ამერიკის წარმომადგენელმა სავსებით აღიარა ის ფაქტი, რომ საკონტროლო შეთანხმება დაარღვია ამერიკის მხარისათვის ავსტრიაში კონტროლის განსაკუთრებულ უფლებათა მინიჭებამ. ამერიკის წარმომადგენელმა თავისი გამოსვლით საბოლოოდ გამოაშკარავა ჭეშმარიტი მიზნები ამერიკის საოკუპაციო პოლიტიკისა, რომელიც მიმართულია ავსტრიის დამონებისაკენ.

დამახასიათებელია, რომ ამერიკის წარმომადგენელმა წინასწარ მოამზადა ვრცელი განცხადება, რომელშიც ჯერ კიდევ სხდომამდე ჩამოყალიბებული იყო ამერიკის მხარის უარი—განეხილა ავსტრიის სუვერენიტეტის განსამტკიცებლად წარმოდგენილი წინადადებანი.

ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლები სასწრაფოდ შეუერთდნენ მას. ამრიგად, ამერიკისა და ბრიტანეთის მხარეთა ერთობლივი ღონისძიებებით ჩაიფუშა გადაწყვეტილება ისეთ საკითხზე, რომელსაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ავსტრიელი ხალხისათვის.

ამერიკის წარმომადგენელი ცდილობდა შეენელებინა ამ ნაბიჯის შთაბეჭდილება და ფიცულობდა, ავსტრიის შესახებ მოსკოვის დეკლარაციაში მიღებულ ვალდებულებათა ერთგული ვართ.

საბჭოთა წარმომადგენელი სამოკავშირეო საბჭოს სხვა წევრებს შეეკითხა: სად არის თქვენი მზადყოფნა—გადასწყვიტოთ ავსტრიის სუვერენიტეტის განმტკიცების დიდმნიშვნელოვანი ამოცანა? ამერიკისა და ბრიტანეთის მხარეთა უარი—შეისწავლონ წინადადებანი ავსტრიის მთავრობის დამატებითი ფუნქციების შესახებ ცხადჰყოფს, რომ დასავლეთი სახელმწიფოების წარმომადგენელთა სიტყვასა და საქმეს შორის დიდი განსხვავებაა.

საბჭოთა წარმომადგენელმა გააკრიტიკა ამერიკის მხარის აზრი, თითქოს ავსტრიის სუვერენიტეტის ხარჯზე ერთ-ერთი მაოკუპირებელი სახელმწიფოსათვის კონტროლის განსაკუთრებულ უფლებათა მინიჭება შეიძლება მიჩნეულ იქნას „პროგრესულ“ მოვლენად.

მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა წინადადებების მიზანი იყო ავსტრიელი ხალხის დამოუკიდებლობის განმტკიცება. ამერიკის წარმომადგენლის, აგრეთვე მისი ბრიტანელი კოლეგის მიერ ამ წინადადებათა უარყოფის ფაქტი თავისთავად მეტყველებს.

„ავსტრიის სუვერენიტეტის“ შესახებ ამერიკელთა და ინგლისელთა ამ ფიცის მოჩვენებითი ხასიათი ახალი ძალით გამოვლინდა ავსტრიაში ცენტრალიზებული რადიოგადაცემის აღდგენის თაობაზე ავსტრიის მთავრობის შუამდგომლობის განხილვის დროს. საბჭოთა წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა ამ შუამდგომლობას და კვლავ მოითხოვა, რომ ავსტრიის მთავრობას გადასცემოდა ავსტრიის რადიოსადგურები, რომლებიც ჯერ კიდევ ამერიკისა და ბრიტანეთის საოკუპაციო ხელისუფალთა ხელშია, ურომლისოდაც, რასაკვირველია, წარმოუდგენელია რადიოგადაცემის ცენტრალიზაცია. (როგორც ცნობილია, საბჭოთა ზონაში რადიოსადგურები ჯერ კიდევ 1945 წელს გადასცეს ავსტრიის ორგანოების განკარგულებაში). შემდეგ მან წინადადება შეიტანა, რომ ავსტრიის მთავრობამ უახლოეს ხანში შეიმუშაოს და სამოკავშირეო საბჭოს მოსაწონებლად წარადგინოს ავსტრიის ერთიანი ცენტრალიზებული რადიოგადაცემის შექმნის გეგმა.

იმის გამო, რომ ამერიკისა და ბრიტანეთის წარმომადგენლებმა უარი სთქვეს გადასცენ რადიოსადგურები ავსტრიის მთავრობას, სამოკავშირეო საბჭომ ვერც ამ საკითხზე შესძლო გადაწყვეტილების მიღება.

შემდეგ საბჭოთა წარმომადგენელმა სამოკავშირეო საბჭოს ყურადღება მიაპყრო იმ ფაქტს, რომ ამერიკის მხარე უხეშად არღვევს სამოკავშირეო საბჭოს დადგენილებას ავსტრიაში წერილების ცენზურის გაუქმების შესახებ.

ჯერ კიდევ 1946 წლის ოქტომბერში სამოკავშირეო საბჭომ გადაწყვეტილება მიიღო „ავსტრიაში შინაკორესპონდენციის ცენზურის, მათ შორის ყველა საფოსტო ცნობის გახსნის, დაუყოვნებლივ გაუქმების შესახებ“.

მაგრამ, როგორც სამოკავშირეო საბჭოს საბჭოთა მხარემ შეიტყო, ამერიკის საოკუპაციო ხელისუფალნი არღვევენ ამ ოთხმხრივ გადაწყვეტილებას და განაგრძობენ ავსტრიის შინასაფოსტო კორესპონდენციის ცენზურას. საბჭოთა მხარემ სამოკავშირეო საბჭოს წარუდგინა საბჭოთა ზონაში დასავლეთი ზონებიდან მიღებული ავსტრიელ მოქალაქეთა წერილები, რომელთაც აზის ნიშანი, რომ კორესპონდენცია ამერიკის ცენზურას გაუსინჯავს.

ზოგ წერილში ამერიკის ცენზურის ინსტრუქციებიც კი იდო იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ეწეოდნენ ავსტრიელი მოქალაქეები თავიანთ საფოსტო მიმოწერას.

საბჭოთა წარმომადგენელმა კატეგორიულად მოითხოვა, რომ ამერიკის მხარემ შეასრულოს შეთანხმებული გადაწყვეტილება ავსტრიაში საფოსტო კორესპონდენციის ცენზურის გაუქმების შესახებ.

ბრაზილიაში ავსტრიის დესპანად ანტონ რეჩეკის დანიშვნის საკითხის განხილვისას აღინიშნა, რომ ეს ავსტრიელი დიპლომატი (მას იგივე პოსტი ეკავა ავსტრიის ფაშისტური რეჟიმის დროს) ფართოდ არის ცნობილი ჰიტლერულ წრეებთან თავისი კავშირით და ფაშიზმისადმი მხურვალე სიმპათიით. პრესაში არაერთხელ ყოფილა აწერილი, რომ რეჩეკმა საკუთარი ხელით აღმართა სვასტიკიანი ალამი ბრაზილიაში ავსტრიის მისიის შენობაზე და აღტაცებით მიესალმა ანშლუსს. რეჩეკის ფაშისტურმა გამოსვლებმა ავსტრიის მოწინავე საზოგადოებრიობის პროტესტი გამოიწვიეს. რეჩეკის პროფაშისტური საქმიანობის მრავალი ფაქტი არავის უარუყვია სადმე. უფრო მეტიც, საბჭოთა მხარემ დამარწმუნებელი საბუთები წარადგინა იმის შესახებ, რომ რეჩეკი აქტიურად თანამშრომლობდა გერმანელებთან და ისეთ პირთა კატეგორიას ეკუთვნის, რომლებმაც უღალატეს ავსტრიის ეროვნულ ინტერესებს და აქტიურად უჭერდნენ მხარს ჰიტლერულ აგრესიას. აშკარაა, რომ რეჩეკს არ შეუძლია დაიკავოს დესპანის პოსტი და ავსტრიის წარმომადგენელი იყოს უცხო სახელმწიფოში.

მიუხედავად ამისა, ამერიკისა და ბრიტანეთის მხარეები ავსტრიის დემოკრატიზაციის შესახებ ოთხი სახელმწიფოს დეკლარაციის სრულიად საწინააღმდეგო დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ რეჩეკი ავსტრიის დესპანად დაენიშნათ ბრაზილიაში.

ამასთან დაკავშირებით სამოკავშირეო საბჭოს საბჭოთა მხარე იძულებული გახდა აღენიშნა, რომ სამოკავშირეო საბჭოს ამერიკის, ბრიტანეთისა და საფრანგეთის მხარეები ცხადად მფარველობენ აშკარა პროფაშისტურ და რეაქციულ ელემენტებს, რითაც არღვევენ ავსტრიის დემოკრატიზაციის დარგში ნაკისრ ვალდებულებებს. საბჭოთა წარმომადგენელმა უფლება დაიტოვა გამოაქვეყნოს რეჩეკის პოლიტიკური დახასიათების საბუთები.

აღმასრულებელმა კომიტეტმა სამოკავშირეო საბჭოს განსახილველად შეიტანა იმის საკითხი, რომ გაზეთ „ვინერ ტაგესცაიტუნგის“, სახალხო პარტიის ცენტრალური ორგანოს ხელმძღვანელობას, სათავეში უდგანან ჰელმუტ შესტერი და ფრიც ჰინტერლაიტნერი (ჰიტლერული პარტიის ყოფილი წევრი 1932 წლიდან), რომელიც წარსულში აქტიურად ეწეოდა ფაშისტური პროპაგანდის დარგში. საბჭოთა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შეუწყნარებელია გაზეთ „ვინერ ტაგესცაიტუნგში“, მით უმეტეს ხელმძღვანელ პოსტებზე იყვნენ გებელსის ყოფილი ჟურნალისტები, რეაქციული, ფაშისტური იდეოლოგიის გამტარებლები. მან აღნიშნა აგრეთვე, რომ საერთოდ შეუწყნარებელია გებელსელ პროპაგანდისტთა გამოყენება ავსტრიის თანამედროვე პრესაში, რადგან ეს არღვევს სამოკავშირეო საბჭოს დადგენილებას პრესის შესახებ.

ამერიკისა და საფრანგეთის მხარეებმა წინადადება შეიტანეს, რომ სამოკავშირეო საბჭო აერიდოს ამ საკითხს და, ამრიგად, ნაცისტი პროპაგანდისტების პირდაპირი მფარველობის გზას დაადგნენ.

ბრიტანეთის წარმომადგენელმა ამერიკელთა საამებლად უარი სთქვა საკუთარ წინა რეკომენდაციაზეც კი, რომ ეს საკითხი განსახილველად გადასცემოდა შინაგან საქმეთა დირექტორატს.

რაკი ერთხმივობას ვერ მიაღწიეს, გადაწყვეტილება არ მიუღიათ.

სხდომის დასასრულ ამერიკის წარმომადგენელმა ერთხელ კიდევ სცადა საბჭოთა მხარისათვის დაეკისრებინა პასუხისმგებლობა იმ საკითხების განხილვის უშედეგობისათვის, რომელთა გადაწყვეტაც ჩაშალეს ამერიკისა და ბრიტანეთის მხარეებმა.

საპასუხო განცხადებაში საბჭოთა წარმომადგენელმა მოაგონა სხდომას, რომ ყველა განსახილველ საკითხზე საბჭოთა მხარემ ამომწურავი, კონკრეტული კონსტრუქციული წინადადებანი შეიტანა ავსტრიის სასარგებლოდ. მაგრამ, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ამერიკის მხარეს კატეგორიულად არა სურს განიხილოს საბჭოთა წინადადებანი და, სამოკავშირეო საბჭოში რომ მოდის, თან მზად მოაქვს „არა“.

იტალიის მთავრობის ახალი დეკრეტი

რომი, 16 თებერვალი. (საკდესი). მინისტრთა საბჭომ გუშინ განიხილა ტექსტი იმ „სამხედრო ორგანიზაციების“ საწინააღმდეგო კანონის პროექტისა, რომელნიც პოლიტიკურ მიზნებს ისახავენ. პროექტი მიღებულ იქნა დამფუძნებელი კრების პირველი საკანონმდებლო კომისიის მიერ, თუმცა კომისიის წევრთა 45 პროცენტმა მის წინააღმდეგ მისცა ხმა. მინისტრთა საბჭომ უარჰყო კომისიის მიერ წარდგენილი შესწორება, რომელიც გამორიცხავდა იმ პირთა „პრევენტულ დაპატიმრებას“, რომელთა შესახებაც ეჭვი აქვთ, რომ „სამხედრო ორგანიზაციებში“ მონაწილეობენ.

დეკრეტი ამ ფორმით სასწრაფოდ გადაეცა რესპუბლიკის პრეზიდენტს, რომელმაც მას ხელი მოაწერა. დეკრეტი ძალაში შედის 16 თებერვლიდან.

ახალი დეკრეტი, რომელსაც აღფრთოვანებით შეხვდნენ ფაშისტური გაზეთები, შინაგან საქმეთა სამინისტროს დიდ შესაძლებლობას აძლევს გაატაროს რეპრესიები იმ ორგანიზაციების წინააღმდეგ, რომლებიც მას მოესურვება განიხილოს როგორც „სამხედრო ორგანიზაციები“, აგრეთვე გაუსამართლებლად და გამოუძიებლად დააპატიმროს ამ ორგანიზაციების „ხელმძღვანელები და ორგანიზატორები“.

„სახელმწიფოს და სამართლის საკითხები „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“

აკადემიკოს ა. ი. ვიშინსკის მოხსენება მეცნიერთა სახლში

14 თებერვალს აკადემიკოსები, წევრ-კორესპონდენტები, დედაქალაქის გამოჩენილი მეცნიერები შეიკრიბნენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის განყოფილების სესიაზე, რომელიც მიეძღვნა „კომუნისტური მანიფესტის“ ასი წლისთავს.

თავმჯდომარემ აკადემიკოსმა ი. პ. ტრაინინმა სიტყვა მისცა აკადემიკოს ა. ი. ვიშინსკის. ტრიბუნაზე მის გამოჩენას ტაშით შეხვდნენ.

აკადემიკოსმა ა. ი. ვიშინსკიმ თავისი მოხსენება მიუძღვნა სახელმწიფოს და სამართლის საკითხებს „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“.

მომხსენებელმა დაახასიათა „მანიფესტის“ ძირითადი დებულებანი და ხაზგასმით აღნიშნა: ამ ნაწარმოების უდიდესი მნიშვნელობა ის არის, რომ მასში ასი წლის წინათ მარქსმა და ენგელსმა გაჰკაფეს გზა სახელმწიფოს და სამართლის ერთადერთი ნამდვილი მეცნიერული თეორიის შექმნისაკენ, თეორიისა, რომელიც შემდეგ გენიალურად განავითარეს ლენინმა და სტალინმა.

— „მანიფესტმა“, — სთქვა ამხ. ვიშინსკიმ, — უაღრესი სიცხადით მოხაზა ჭეშმარიტი არსი ბურჟუაზიული სახელმწიფოსი, რომელმაც მთელი სულიერი და მორალური ღირებულებანი ბაზარში სახმარ ხურდა ფულად გადააქცია. ბურჟუაზიული წყობილების არსის მამხილებელი სტრიქონების დაწერის 100 წლის შემდეგ კაპიტალიზმმა ახალი წარმატებანი მოიპოვა იმაში, რომ ჯადოსნურად გადაექცია მორალი ვაჭრობად, ღირსება უპატიოსნობად, სამართლიანობა — ამ ცნების წაბილწვად, სამართალი და მართლმსაჯულება—უუფლებობად და უსამართლობად. ამ უკანასკნელ ხანს საერთაშორისო ცხოვრებაში მომხდარი ამბები უცილობლად ადასტურებენ, რომ თანამედროვე იმპერიალისტური სახელმწიფო უკვე აშკარად წარმოადგენს ექსპანსიონისტური რეაქციის საფარს.

— განა ამ დასკვნას მკაფიოდ არ ადასტურებს, — ამბობს აკადემიკოსი ვიშინსკი, — დაისის ყბადაღებული კომისიის მუშაობა, ამერიკის შეერთებული შტატების პროგრესულ ადამიანთა საქმიანობის გამომკვლევი საზიზღარი კამპანია, პატიოსან ამერიკელ დემოკრატთა მრავალი ათეული პროგრესული საზოგადოების ლეგალური საქმიანობის აკრძალვა და რეაქციის სხვა ოინები. ადამიანის უფლებათა დაცინვას წარმოადგენს ეგრეთწოდებული „სიტყვის თავისუფლება“ და „პრესის თავისუფლება“ კაპიტალისტურ ქვეყნებში, სადაც ყველაფერი მონოპოლიათა ძალას ემორჩილება. ამჟამად არ შეიძლება, რომ ეს არ შეამჩნიოს ყოველმა პატიოსანმა დემოკრატმა, რომელსაც შეუძლია ათასობით მაგალითით დარწმუნდეს თანამედროვე კაპიტალისტი მონოპოლისტების თვალთმაქცობაში, რომელნიც თავისუფლებისა და დემოკრატიის ლოზუნგებით ცდილობენ დაფარონ თავიანთი მტაცებლური მისწრაფება.

საერთაშორისო რეაქციის თარეშის ფონზე საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო მთელი მსოფლიოს წინაშე წარსდგება როგორც კომუნიზმის იდეის, ლენინისა და სტალინის იდეათა ბრწყინვალე გამარჯვება, როგორც ადამიანთა ურთიერთობაში ნამდვილი სამართლიანობისა და თანასწორუფლებიანობის გამარჯვება.

დამსწრენი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ აკადემიკოს ა. ი. ვიშინსკის დასკვნით სიტყვებს.

სესიაზე მოსმენილ იქნა აგრეთვე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტ კ. ვ. ოსტროვიტიანოვის მოხსენება — „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ და სსრ კავშირში კომუნიზმის მშენებლობის გზები“. (საკდესი).

იუგოსლავიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განცხადება

ბელგრადი, 14 თებერვალი. (საკდესი). იუგოსლავიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ბადნევიჩმა პრეს-კონფერენციაზე უპასუხა მთელ რიგ კითხვებზე.

ბადნევიჩი შეეხო რესპუბლიკის მთავრობის წინადადებას დასავლეთ გერმანიიდან რეპარაციების საკითხზე საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის შესახებ და განაცხადა, რომ ასეთი კონფერენციის საჭიროება გამოწვეულია გერმანიის დასავლეთი ზონის მმართველი მთავრობების გადაწყვეტილებით რეპარაციების ანგარიშში მცირეოდენი სამრეწველო მოწყობილობის გამოყოფის შესახებ, რაც თავისი ღირებულებით იმ საერთო ზარალის სულ 0,39 პროცენტს შეადგენს, რაც ომმა დაზარალებულ ქვეყნებს მიაყენა. ბადნევიჩმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ზემოდასახელებული მთავრობების ასეთი პოლიტიკა უხეშად არღვევს პოტსდამის კონფერენციის გადაწყვეტილებებს გერმანიის სამხედრო პოტენციალის ლიკვიდაციის შესახებ, აბრკოლებს ომით განადგურებული ქვეყნების აღდგენას და იმავე დროს თვით გერმანიას აქეზებს დაპყრობითი ტენდენციებისათვის.

ამიტომ დაინტერესებულ ქვეყნებს თავიანთი და სხვა მშვიდობისმოყვარე ხალხთა ინტერესების დასაცავად მხარი უნდა დაეჭირათ იუგოსლავიის მთავრობის თაოსნობისათვის კონფერენციის მოწვევის შესახებ, რომელზეც დაისმებოდა რეპარაციების საკითხი საამისოდ საჭირო სიცხადით.

მაგრამ მხოლოდ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკისა და ალბანეთის მთავრობები დაეთანხმნენ ამ წინადადებას. დასავლეთ ევროპის ქვეყნების უმრავლესობამ გვიპასუხა, რომ არ შეუძლია მიიღოს კონფერენციაზე მიწვევა. მათი პასუხები სულ ერთნაირია და იმაში მდგომარეობს, რომ უნაყოფოა რეპარაციების საკითხის გადაწყვეტა, თუ მასში მონაწილეობას არ მიიღებენ დასავლეთი გერმანიის მმართველი მთავრობები. ეს პასუხი გაცემულია იუგოსლავიის მთავრობის განცხადების საწინააღმდეგოდ, რომ იგი მზად არის მოიწვიოს აღნიშნული სახელმწიფოების წარმომადგენლები, თუ ასეთი წინადადება შემოტანილ იქნა რომელიმე მოწვეული სახელმწიფოს მიერ. მაგრამ დაინტერესებული დასავლეთი სახელმწიფოების მთავრობებმა, მიუხედავად თავიანთივე წინადადებისა, თანხმობა არ განაცხადეს ამ კონფერენციაში მონაწილეობის შესახებ. მოწვეული ქვეყნების მთავრობებმა ასეთი საქციელით დიდი პასუხისმგებლობა იკისრეს. მათ თავიანთი ხალხების წინაშე იკისრეს პასუხისმგებლობა იმ ფაქტისათვის, რომ მათი ხალხები ჯერ კიდევ მრავალი წლის განმავლობაში იგრძნობენ ომის ეკონომიურ შედეგებს და პრაქტიკულად ვერ მიიღებენ რეპარაციებს გერმანიისაგან. მათ პასუხისმგებლობა იკისრეს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის წინაშე დასავლეთ გერმანიაში ახლანდელი პოლიტიკის განგრძობისათვის, რაც საფრთხეს უქმნის მშვიდობის კონსოლიდაციას და ფაქტიურად ჰქმნის გერმანიის ახალი აგრესიის საშიშროებას. იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიისა და ალბანეთის მთავრობები თავის შემდგომ მოქმედებას ისე შეათანხმებენ, რათა დაიცვან თავიანთი ხალხების ინტერესები და მშვიდობის ინტერესები გერმანიის რეპარაციების მიმართ.

კითხვაზე, რატომ არ არის ამ კონფერენციაზე საბერძნეთი მოწვეული, ბადნევიჩმა უპასუხა, რომ ამის მიზეზია მონარქისტულ-ფაშისტური მთავრობის მტრული ურთიერთობა იუგოსლავიის მთავრობისადმი და საბერძნეთის მთავრობის მდგომარეობა, რომლის მიხედვითაც ძნელი წარმოსადგენია, რომ მან თავისუფალი გადაწყვეტილება მიიღოს. თუმცა,—სთქვა ბადნევიჩმა, — არც ერთ მოწვეულ მთავრობას ამისათვის ჩვენთვის საყვედური არ უთქვამს.

ბადნევიჩმა უპასუხა იტალიის პრესის ცილისმწამებლურ ცნობაზე „იტალიაში იუგოსლავების მიერ იარაღის კონტრაბანდულად შეტანის" შესახებ, სავსებით გამოააშკარავა იტალიელი რეაქციონერების სიცრუე და აღნიშნა, რომ ამ კამპანიის მიზანია მოამზადონ ნიადაგი იტალიაში ამერიკის უშუალო და აშკარა ინტერვენციისათვის.

გენერალ მარკოსის ინტერვიუ

ბუდაპეშტი, 16 თებერვალი. (საკდესი). როგორც უნგრეთის რადიო გადმოგვცემს, გენერალმა მარკოსმა უნგრეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური ორგანოს გაზეთ „საბად ნეპის" თანამშრომელთან ინტერვიუში განაცხადა, რომ ტერიტორია, რომელიც მტკიცედ უპყრიათ თავისუფლებისათვის მებრძოლ ბერძნებს, შეადგენს საბერძნეთის ტერიტორიის 7/10-ს. მისი მოსახლეობა დაახლოებით 2 მილიონია. ჩვენი ძალების რაოდენობა, სთქვა მარკოსმა, რასაკვირველია, არ შემიძლია ამჟამად გამოვაამჟღავნო, მაგრამ ერთი წლის წინათ ჩვენს არმიაში ითვლებოდა 25 ათასი კაცი, ახლა კი გაცილებით უფრო მეტია.

ამერიკის შეერთებული შტატების საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის სამართალში მიცემა

ნიუ-იორკი, 14 თებერვალი. (საკდესი). ფედერალურმა სასამართლომ საწარმოო პროფკავშირთა კონგრესსა და მის თავმჯდომარეს მერეის წაუყენა ფორმალური ბრალდება ტაფტის კანონის იმ მუხლების დარღვევაში, რომლებიც უკრძალავენ პროფკავშირებს პოლიტიკურ საქმიანობას და ამ მიზნით პროფკავშირული სახსრების ხარჯვას. საბრალდებო დასკვნაში ნათქვამია, რომ საწარმოო პროფკავშირთა კონგრესი და მერეი „უკანონოდ" მონაწილეობდნენ საარჩევნო კამპანიაში მერილენდის შტატში კონგრესის დამატებითი არჩევნების დროს გასულ ზაფხულში. საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის ორგანომ გაზეთმა „სიო ნიუსმა" არჩევნების წინადღეს გამოაქვეყნა სტატია, რომელიც მხარს უჭერდა გარმატცის კანდიდატურას (დემოკრატიული პარტია).

მერეის საქმის სასამართლოში მოსმენა დანიშნულია 20 თებერვალს. ეს პირველი სასამართლო პროცესია ტაფტის კანონის ხსენებული მუხლების დარღვევისათვის. სასჯელად გათვალისწინებულია პროფორგანიზაციებისათვის 5 ათასი დოლარი ჯარიმა და პროფკავშირის ხელმძღვანელებისათვის 1.000 დოლარი ჯარიმა ან ერთი წლით პატიმრობა ანდა ერთიც და მეორეც.

ამ ბრალდებასთან დაკავშირებით მერეიმ გამოაქვეყნა განცხადება, სადაც ამტკიცებს, რომ ტაფტის კანონის ეს მუხლები ეწინააღმდეგებიან კონსტიტუციას, რომელიც სიტყვისა და პოლიტიკურ შეხედულებათა გამოთქმის თავისუფლებას ითვალისწინებს. მერეი აცხადებს, რომ ამ კანონის მიზანს წარმოადგენს პროფკავშირების მოსპობა და პროფკავშირების ლიდერებისათვის იმ უფლების წართმევას, რომ თავისუფლად განიხილონ პოლიტიკური საკითხები. მერეი აღნიშნავს, რომ კანონის ეს მუხლები თანაბრად ეხება კორპორაციებსა და ბანკებს. მერეიმ განაცხადა, რომ მან შეგნებულად დაანება გაზეთს ასეთი მოქმედება იმ მიზნით, რომ სასამართლოს საშუალებით შეამოწმოს, თუ რამდენად შეესაბამება კონსტიტუციას ტაფტის კანონის აღნიშნული მუხლები.

ამასთან ერთად, როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" იუწყება, საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის ლიდერებმა სახელმწიფო დეპარტამენტის მოთხოვნით სასტიკი საყვედური გამოუცხადეს პროფკავშირული ცენტრის მდივანს შნურს იმისათვის, რომ მან საფრანგეთისა და იტალიის მემარცხენე პროფკავშირთა ხელმძღვანელებს მისწერა წერილები, რომლებშიც ნათქვამი იყო: „ტაფტის კანონი, რომლის მიზანია მოსპოს თავისუფალი პროფკავშირები შეერთებულ შტატებში, საშინაო პროგრამაა ამერიკის იმპერიალიზმისა, რომელიც იბრძვის ყველა თავისუფალი პროფკავშირის წინააღმდეგ ევროპაში. მხოლოდ მუშათა საერთაშორისო სოლიდარობას პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მეშვეობით შეუძლია ჩაშალოს რეაქციონერთა შეტევა მთელ მსოფლიოში".

საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის ლიდერებმა აღნიშნეს, რომ შნურის ასეთი განცხადება ეწინააღმდეგება საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის მიღებულ პოლიტიკას და ჰქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს საწარმოო პროფკავშირთა კონგრესი „მარშალის გეგმის" წინააღმდეგია.

პრესის მტკიცებით, იუსტიციის სამინისტრომ მეტად უხალისოდ დაიწყო სასამართლო პროცესი საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის წინააღმდეგ, ვინაიდან შიშობს, რომ ეს გავლენას მოახდენს დემოკრატების პოზიციებზე საარჩევნო კამპანიაში. იუსტიციის სამინისტრო მოსაზრებას გამოსთქვამს, რომ სასამართლო პრაქტიკით შემოწმებამ შეიძლება გამოიწვიოს იმის აღიარება, რომ ტაფტის კანონის ეს მუხლები კონსტიტუციას არ შეესაბამება.

ამ კანონის ავტორმა ტაფტმა განაცხადა, რომ მთავრობამ, შესაძლოა, შეცდომა დაუშვა, პროფკავშირთა სასამართლო დევნა, რომ დაიწყო, იმიტომ, რომ, როგორც სჩანს, საჭირო გახდება „გარკვეულობის შეტანა" კანონის ამ მუხლებში.

როგორც გაზეთი „პ. მ." სწერს, პროფკავშირთა იურისტების აზრით, ტაფტის კანონის ეს მუხლები შეიძლება შეეფარდოს თითქმის ყველა ყოველდღიურ გაზეთს, რომლებიც იწონებენ კანდიდატებს პოლიტიკური პოსტებისათვის, რამდენადაც მეტი წილი გაზეთები კორპორაციებს ეკუთვნიან.

ბუდაპეშტის განთავისუფლების მესამე წლისთავის დღესასწაული

ბუდაპეშტი, 16 თებერვალი. (საკდესი). გუშინ ბუდაპეშტის მოსახლეობამ აღნიშნა საბჭოთა არმიის მიერ ფაშისტი ოკუპანტებისაგან უნგრეთის დედაქალაქის განთავისუფლების მესამე წლისთავი. ქალაქის ქუჩები და მოედნები მორთული იყო ნაციონალური ალმებით.

დილით გვირგვინებით შეამკეს ბუდაპეშტისათვის ბრძოლებში დაღუპული საბჭოთა მეომრების ძეგლები. თავისუფლების მოედანზე საბჭოთა მეომრების ძეგლთან გაიმართა მიტინგი, რომელსაც დაესწრნენ პარლამენტის თავმჯდომარე იმრე ნადი, მთავრობის წევრები, დემოკრატიული პარტიების ლიდერები, აგრეთვე საბჭოთა სარდლობის წარმომადგენლები, სსრ კავშირის საქმეთა დროებითი რწმუნებული უნგრეთში ა. გ. ტიშკოვი და დიპლომატიური კორპუსის სხვა წევრები.

მიტინგზე სიტყვები წარმოსთქვეს ბუდაპეშტის ბურგომისტრმა იოჟეფ ბოგნარმა და საბჭოთა არმიის პოლკოვნიკმა ნოვიკოვმა. იმრე ნადმა რესპუბლიკის პრეზიდენტის სახელით, ფერენც იმპლომმა პარლამენტის სახელით, ერნე გერემ მთავრობის სახელით და სხვებმა გვირგვინებით შეამკეს დაღუპული საბჭოთა მეომრების ძეგლი. მიტინგები გაიმართა აგრეთვე ვ. მ. მოლოტოვის სახელობის მოედანზე და კოშუტის აკადემიის წინ.

საღამოს ქალაქის თეატრში შესდგა საზეიმო სხდომა, რომელზეც ამ შესანიშნავი თარიღის შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ბურგომისტრი ბოგნარი.

„ლეიბორისტული მთავრობა და კონსერვატიული ოპოზიცია ერთიანი არიან..."

ჩერჩილის გამოსვლა

ლონდონი, 15 თებერვალი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, უინსტონ ჩერჩილმა 14 თებერვალს რადიოთი სიტყვა წარმოსთქვა და განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობა და კონსერვატიული ოპოზიცია ერთიანი არიან კომუნიზმისადმი წინააღმდეგობაში და ინგლისის საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მხრივ.

ჩერჩილმა გააკრიტიკა ლეიბორისტული პარტიის აღმასკომი მისი იმ გადაწყვეტილებისათვის, რომ არ ურჩიოს ლეიბორისტებს მონაწილეობა მიიღონ „ჩერჩილის მიერ პროპაგანდირებულ „გაერთიანებული ევროპის" შექმნის საკითხებისადმი მიძღვნილ კონფერენციაში", რომელიც მოწვეულ იქნება ჰააგაში ამა წლის მაისში, და მოუწოდებდა პრემიერ-მინისტრს კლემენტ ეტლის, „რომლის ერთგულება ევროპის კავშირის შექმნის საქმისადმი ფართოდაა ცნობილი", არ მოერიდოს „პასუხისმგებლობას ასეთ მნიშვნელოვან საკითხში".

ჩერჩილი მოითხოვდა ახალი პარლამენტის შექმნას, რომელიც „შესძლებს დაიწყოს სწორი მოქმედება".

უოლესის სიტყვა ჰარლემის მიტინგზე

ნიუ-იორკი, 15 თებერვალი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა უოლესმა, რომელმაც სიტყვა წარმოსთქვა მიტინგზე ჰარლემში (ნიუ-იორკის შტატი), სადაც უმთავრესად ზანგები და პორტო-რიკოს კუნძულიდან გამოსული ხალხი სახლობს, მკვეთრად გააკრიტიკა მთავრობის პოლიტიკა პორტო-რიკოს მცხოვრები ზანგებისა და პალესტინის მიმართ. უოლესმა ჯეროვნად შეაფასა ზანგი ხალხი და განაცხადა: ფაქტია, რომ დღეს დაბადებული ზანგი ბავშვის სიცოცხლე ათი წლით ხანმოკლე იქნება, ვიდრე მისგან რამდენიმე მილზე დაბადებული თეთრი ბავშვის სიცოცხლე. მე ვაცხადებ, რომ ეს ათი წელი — მილიონობით ამერიკელთათვის დაკარგული ათი წელი—ისეთი სირცხვილია, რომლის ჩამორეცხვა არაფრით არ შეიძლება. ისინი, ვინც ჯანმრთელობის დაცვის, საბინაო მშენებლობის, განათლებისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამის წინააღმდეგია, რაც ამ სირცხვილს აღვაშორებდა, მკვლელობას სჩადიან. ისინი, ვინც დაყოფას უკვდავჰყოფს დამნაშავენი არიან.

უოლესმა განაცხადა, რომ ახლანდელი შემადგენლობის კონგრესისაგან რაიმე დახმარებას არ უნდა მოველოდეთ, და სთქვა: „ახლანდელი კონგრესის სულ ცოტა ½ დაყოფის თავგამოდებული მომხრეა და კონგრესის წევრთა უმრავლესობას არაერთხელ გამოუმჟღავნებია თავი გავლენიანი ფინანსური და სამრეწველო მაგნატების მოკავშირედ, ხალხის ინტერესთა წინააღმდეგ".

უოლესმა აღნიშნა, რომ ტრუმენის ეგრეთწოდებული მიმართვა სამოქალაქო უფლებათა შესახებ შედეგებს არ იძლევა, და სთქვა: „როცა ერთ კვირაზე ნაკლებ ხანში მას შემდეგ, რაც ტრუმენმა კონგრესს განუცხადა, განკარგულება გავეცი — შესწყვიტონ დისკრიმინაცია შეიარაღებულ ძალებში, მისი სამხედრო მინისტრი ადასტურებს დაყოფის ძირითად პოლიტიკას, — ჩვენ ცოტა საფუძველი მოგვეპოვება კონსტრუქციულ ღონისძიებებს მოველოდეთ როგორც კონგრესის, ისე მთავრობის მხრივ, მე ვიცი, რომ კაბინეტის წარმომადგენელს საჯაროდ არ შეუძლია გამოსთქვას მთავრობის გაბატონებული პოლიტიკისაგან განსხვავებული აზრი და ამავე დროს კაბინეტში დარჩეს. ტრუმენი რომ დისკრიმინაციის ნამდვილი მოწინააღმდეგე იყოს და მხოლოდ თავს არ იკატუნებდეს ხმების მიღების მიზნით, დაუყოვნებლივ დაითხოვდა სამხედრო მინისტრ როიალს.

ტრუმენს შეეძლო ცხადეყო პალესტინის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებისადმი გულწრფელი ერთგულება, თუ მოითხოვდა კაბინეტის იმ მთავარ წარმომადგენელთა გადაყენებას, რომელნიც, არსებული ცნობების თანახმად, ცდილობენ ჩაშალონ ეს გადაწყვეტილება. კაბინეტის შემადგენლობიდან როიალის, ფორესტოლის, ჰარიმანის გამოსვლას და მათს ისეთი მამაკაცებითა და ქალებით შეცვლას, რომელთაც უნარი შესწევთ განახორციელონ ტრუმენის სიტყვები, მიესალმებოდნენ როგორც იმის დამადასტურებელ საბუთს, რომ პრეზიდენტი ნამდვილად იმას გულისხმობს, რასაც ამბობს, როცა სამოქალაქო თავისუფლებათა შესახებ ლაპარაკობს".

უოლესმა გააკრიტიკა ტრუმენის პოლიტიკა პორტო-რიკოსადმი და განაცხადა, რომ დაახლოებით ერთი წლის წინათ პორტო-რიკოს საკანონმდებლო ორგანოს ორივე პალატამ ერთხმად მოიწონა კანონპროექტი, რომლის თანახმადაც ესპანური ენა ძირითადი ენა გახდა პორტო-რიკოს სკოლებში, ხოლო ინგლისური ისწავლებოდა როგორც მეორე ენა. კანონპროექტი ტრუმენს გაეგზავნა ხელმოსაწერად ან ვეტოს დასადებად. ტრუმენი, რომელიც „მაშინ გართული იყო იმით, რომ საბერძნეთი და თურქეთი გადაერჩინა რეაქციონერებისათვის" უგულებელჰყოფდა კანონპროექტს 90 დღის განმავლობაში. ასეთ გარემოებაში კანონპროექტი ავტომატურად ხდება კანონად, მაგრამ ტრუმენმა ვეტო დაადო ამ კანონპროექტს, როცა იგი კანონი გახდა, და პორტო-რიკოს უმაღლესმა სასამართლომ, რომელიც დანიშნულია ამერიკის შეერთებული შტატების მიერ, მხარი დაუჭირა ტრუმენის ვეტოს. „პრეზიდენტის უარი, რომ პორტო-რიკოს უფლება მიენიჭოს აირჩიოს თავისი საკუთარი ენა, არ შეესაბამება ტრუმენის მიმართვას სამოქალაქო უფლებათა შესახებ".

შემდეგ უოლესმა აღნიშნა, რომ მსხვილი მონოპოლიები, რომლებიც მოგებას მისდევენ პასუხისმგებელი არიან თითქმის ყველა ძირითადი პრობლემისათვის, რომლებიც ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატების წინაშე დგას. „თუმცა მსხვილი კაპიტალისტები გაჰყვირიან: „რუსეთი, წითლები, კომუნისტებიო", მაგრამ ნამდვილად მათ ეშინიათ ხალხის აღშფოთებისა და დემოკრატიულ დაპირებათა შესრულების იმ მოთხოვნისა, რაც მთელ მსოფლიოში თანდათან ძლიერდება.

უოლესმა აღნიშნა, რომ მსხვილი კაპიტალისტები აღადგენენ გერმანიას და მხარს უჭერენ ყოველ რეაქციონერს, რომელიც დემოკრატიული პროფკავშირებისა და პოლიტიკური პარტიების წინააღმდეგ ილაშქრებსო, და განაცხადა, „მთელი მსოფლიოს ხალხებს ძვირად დაუჯდათ ის, რომ გაეგოთ რასობრივი და რელიგიური დევნის საშიშროება და გაეგოთ, რომ ფაშიზმის ჭეშმარიტი წყარო არიან ფინანსური და სამრეწველო მაგნატები, რომლებიც მოგებისა და ბატონობისაკენ ისწრაფვიან. დღეს, როცა ჩვენი ჰოსპიტლები ჯერ კიდევ სავსეა უკანასკნელი ომის მსხვერპლით, ზოგიერთ პირთათვის, რომელნიც ყველაზე უფრო პასუხისმგებელი არიან სისხლისღვრისათვის, ლმობიერი განაჩენი გამოაქვთ იმ ტრიბუნალებს, რომელნიც სამხედრო დამნაშავეთა საქმეებს იხილავენ". უოლესმა აღნიშნა, კელნელი ბანკირი კურტ ფონ შრედერი ერთ-ერთი ისეთი ადამიანია, რომელიც ყველაზე მეტად პასუხისმგებელია იმისათვის, რომ ხელისუფლებას სათავეში ჰიტლერი ჩაუდგა, და განაცხადა: „ფონ შრედერს მშვიდობის წინააღმდეგ დანაშაულობაში მონაწილეობისათვის ამას წინათ მიუსაჯეს სამი თვის პატიმრობა და ჯარიმა, რომელიც ორი კოლოფი სიგარეტის ფასს უდრის". დასასრულ უოლესმა აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში როგორც რესპუბლიკური, ისე დემოკრატიული პარტია „ამჟამად მონოპოლიების კრეატურას წარმოადგენენ. თუმცა სხვადასხვა ენის გამოყენებით, მაგრამ ორივე წაგვიყვანს ერთი და იმავე მიზნისაკენ: თავისუფლებათა შეზღუდვის, ეკონომიური უთანასწორობის გადიდების და ომსა და დეპრესიაში საბოლოო მოსპობისაკენ". უოლესმა მსმენელთ მოუწოდა—შედით მუშათა, ფერმერთა, ინტელიგენციისა და წვრილ მრეწველთა ახალ პარტიაში, რათა ხელი შეუწყოთ მშვიდობის, აყვავებისა და თანასწორობის საქმესო.

ავსტრიის ამერიკულ ზონაში აღმოჩენილია ახალი ფაშისტური ორგანიზაცია

ვენა, 16 თებერვალი. (საკდესი). გაზეთი „ესტერრაიხიშე ფოლკსშტიმე" იუწყება, რომ ზალცბურგში (ავსტრიის ამერიკული ზონა) აღმოჩენილია ახალი არალეგალური ფაშისტური ორგანიზაცია, რომელსაც „ფრაიკორ შვარცე ეგერი" („შავ მონადირე მოხალისეთა კორპუსი") ეწოდებოდა. ახალი ფაშისტური ორგანიზაცია აგებული იყო სამხედრო ნაწილის პრინციპზე. მას სათავეში ედგნენ ყოფილი ჰიტლერული არმიის მაიორი გრელი, ვიღაც კურტ ჰოლცტრატნერი, გერმან ფრაშჰამერი და ვალტერ ცუდანი. ეს უკანასკნელი რედაქტორი იყო ერთ დროს ფაშისტური პროპაგანდისათვის აკრძალულ გაზეთ „დერ აუფბრუხისა", დაპატიმრებულ იქნა ავსტრიის ხელისუფალთა მიერ, შემდეგ კი გავლენიანი კათოლიკური წრეების ჩარევის მეოხებით კვლავ გაათავისუფლეს.

„ესტერრაიხიშე ცაიტუნგი" აღნიშნავს, რომ ფაშისტი შეთქმულები ხვდებოდნენ ერთმანეთს სასტუმრო „გაბლერბრეიში", რომელიც ნაწილობრივ ამერიკის საოკუპაციო ხელისუფალთ ეკავათ.

როგორც კვლევა-ძიებით გამოირკვა, ფაშისტებმა ჯერ კიდევ 1945 წელს ჩამოაყალიბეს საზოგადოება „დემოკრატიშე ორდენსბრუდერი" („დემოკრატიული ორდენის ძმები"), რომლის მეთაურიც ამის შემდეგ მალე დაპატიმრებულ იქნა, მაგრამ დღემდე არ გაუსამართლებიათ.

ავსტრიის უშიშროების ორგანოების მხრივ პირდაპირი წაყრუებით ისინი გამოსცემდნენ გაზეთ „მანერს", რომელშიც აშკარად უჭერდნენ მხარს ფაშისტური რეჟიმის აღდგენას.

შეთქმულთა ორგანიზაციის კვალს, სწერს „ესტერრაიხიშე ფოლკსშტიმე", მივყევართ ტიროლში (ფრანგული ზონა), სადაც ამ ცოტა ხნის წინათ დაპატიმრებულ იქნა ვიღაც ფრიდრიხ ჰოლცერი. ზალცბურგის პოლიციამ დღემდე დააპატიმრა ორგანიზაცია „ფრაიკორ შვარცე ეგერის" 14 წევრი. ეს, აღნიშნავს გაზეთი, ნამდვილ შეთქმულთა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია, რადგან მათი ძირგამომთხრელი მუშაობა დღემდეც გრძელდება.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში

ლატვიის სსრ მეცნიერებათა აკადემიამ და ლატვიის სახელმწიფო უნივერსიტეტმა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია მიიწვიეს მონაწილეობა მიიღოს საზეიმო სხდომაზე, რომელიც მიეძღვნება ლატვიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, სლავურ-ბალტიკური ენების დიდი სპეციალისტის ი. მ. ენძელინის დაბადების 75 წლის იუბილეს.

სხდომა შესდგება მიმდინარე წლის 22 თებერვალს რიგაში, სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდ დარბაზში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დავალებით ლატვიაში გაემგზავრა აკადემიის ნამდვილი წევრი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე გ. ახვლედიანი.

ახალი სახელოსნოების მშენებლობა

თბილისის წყალსადენის ტრესტს ქვემო ავჭალაში გამოეყო მიწის ნაკვეთი 7 ჰექტარის რაოდენობით. აქ წელს დაიწყება თბილისის წყალსადენის ტრესტის დამხმარე სახელოსნოების — ლითონსამსხმელო და ლითონ-გადამმუშავებელი სახელოსნოების მშენებლობა.

თბილისის წყალსადენის ტრესტი მალე შეუდგება მშენებლობის დაპროექტებას.

საბჭოთა კავშირის პირველობა ჭრივში

მიმდინარე წლის მარტში თბილისსა და ლენინგრადში ეწყობა შეჯიბრება ჭრივში საბჭოთა კავშირის პირადი პირველობისათვის.

საქართველოდან შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ უმჩატეს წონაში: კალაძე, აგლამაზოვი და კალაჯევი, მჩატე წონაში — ხანუკაშვილი და კირაკოზოვი, ნახევრადმსუბუქ წონაში — გორგასლიძე და ვართანოვი, მსუბუქ წონაში — არისტაგოვი და მელაძე, ნახევრადსაშუალო წონაში — ცანავა, ნახევრადმძიმე წონაში — დვალი და მძიმე წონაში — ნავასარდოვი და ტაბატაძე.

მესხეთის სახელმწიფო თეატრში

მესხეთის სახელმწიფო თეატრმა მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მაყურებელს რამდენიმე ახალი დადგმა უჩვენა. 7 თებერვალს წარმოდგენილ იქნა აკ. კერესელიძის პიესა „მზევრავები". დადგმა ეკუთვნის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს მ. მეძმარიაშვილს, მხატვრული გაფორმება ა. ჩიფლიკიანს. მთავარ როლებს ასრულებენ მ. მეძმარიაშვილი, ნ. ზამბახიძე, ნ. კაკაბაძე, ვ. ივანიძე, ალავიძე, მაზმიშვილი.

საბჭოთა არმიის 30-ე წლისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 27-ე წლისთავის დღესასწაულებისათვის თეატრს მზად აქვს მორიგი პრემიერა — ანთაძის, დუმბაძისა და ჩიქოვანის პიესა „უბრალო ადამიანები". დადგმა ეკუთვნის რეჟისორ ოთარ ალექსიშვილს, მხატვრული გაფორმება კარლო კუკულაძეს.

ქ რ ო ნ ი კ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ა. ნ. კოსიგინი დანიშნა სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრად, ხოლო ამხ. ა. გ. ზვერევი დაამტკიცა სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის პირველ მოადგილედ.

ნინო ნაკაშიძის საიუბილეო საღამო

16 თებერვალს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართა მწერალ ნინო ნაკაშიძის საიუბილეო საღამო მისი დაბადებიდან 75 წლის შესრულების გამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა ორდენოსანმა პოეტმა ი. გრიშაშვილმა.

ნინო ნაკაშიძის საზოგადოებრივ-ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ მოხსენება გააკეთა პროფესორმა გ. თავზიშვილმა.

მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს. საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილემ მ. ზურჭულაძემ, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა ნ. კეცხოველმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ა. ვასაძემ, საქართველოს საბჭოთა მწერლების სახელით— გ. აბაშიძემ, საქართველოს კინომრეწველობის მუშაკთა სახელით—რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ნ. ვაჩნაძემ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელით—დოცენტმა გ. აბზიანიძემ, მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრის სახელით—რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა გ. კუპრაშვილმა, საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების სახელით — გ. სამხარაძემ, პიონერებმა ხუციშვილმა და გორდაძემ, ჟურნალ „დილის" პატარა მკითხველმა ლ. სარაჯიშვილმა.

ნინო ნაკაშიძისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს პოეტებმა ი. აბაშელმა, გ. კაჭახიძემ, მ. მრევლიშვილმა, ი. სიხარულიძემ, ი. მჭედლიშვილმა, ახალგაზრდა პოეტებმა მ. ლებანიძემ და ა. კალანდაძემ.

მწერალმა რ. ქორქიამ წაიკითხა იუბილარის სახელზე მიღებული მისასალმებელი დეპეშები მოძმე რესპუბლიკებიდან.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ იუბილარი დააჯილდოვა „განათლების წარჩინებული მუშაკის" სამკერდე ნიშნით. იუბილარს გადასცეს საჩუქრები და თაიგულები სხვადასხვა ორგანიზაციებისაგან.

შემდეგ სამადლობელი სიტყვით გამოვიდა იუბილარი.

დასასრულ შესდგა კონცერტი საქართველოს სსრ ხალხური სიმღერებისა და ცეკვის ანსამბლისა და სახელმწიფო ოპერის სოლისტების მონაწილეობით. წარმოდგენილ იქნა პირველი მოქმედება ნინო ნაკაშიძის პიესიდან „ვინ არის დამნაშავე?".

ლ ე ქ ც ი ა

18 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის რაიკომის პარტკაბინეტში (ბეთაგუროვის ქ. № 2) შესდგება ლექტორ ამხ. იაროვის ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„საბჭოთა საქართველოს 27-ე წლისთავი და საბჭოთა არმიის 30-ე წლისთავი".**

შესვლა თავისუფალია.

თ ე ა ტ რ ე ბ შ ი

18 თებერვალს: ოპერისა და ბალეტის— „პიკის ქალი"; რუსთაველის სახელობის—„ერთი ღამის შეცდომები"; მარჯანიშვილის სახელობის—„1917 წელი"; გრიბოედოვის სახელობის—„პაპუკობასთან შეხვედრა"; მოზარდ მაყურებელთა ქართული—„ფარავნელი ჭაბუკი"; მუსიკალური კომედიის—„სამთა სიყვარული"; თოჯინების რუსული—„ვერცხლის ჩლიქი".

კ ი ნ ო ე ბ შ ი

18 თებერვალს: „რუსთაველი", „კომკავშირელი"—„ალიშერ ნავოი"; „ოქტომბერი"—„ოთხთა გული"; „სპარტაკი" — „მზეურავის გმირობა"; „ამირანი"—„სილვა"; 26 კომისრის სახელობის — „ბრძოლა რელსებზე" (1 დარბაზი), „ალიშერ ნავოი" (2 დარბაზი); „კოლმეურნე"— „ცხოვრება ციტადელში"; „ქრონიკა"—„კარელია ფინეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

---

20 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, კიროვის რაიკომის სხდომათა დარბაზში (ი. ჭავჭავაძის ქუჩა № 2) შესდგება საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის მორიგი პლენუმი.

საქართველოს რადიოკომიტეტის გადაცემათა პროგრამა

18 თებერვალს

რადიოსადგურებით 1154 და 49,59 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით.

17.20—საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები. 17.40—გადაცემა მოსწავლეთათვის რუსულ ენაზე: „გენერალი ლესელიძე". 18.20—ქართული ხალხური სიმღერები, 19.15—არენსკის საფორტეპიანო კონცერტი. 20.30—საქართველოს რადიოკომიტეტის სოლისტის ყიფიანის კონცერტი. 20.45—საუბარი ქართულ ენაზე. 21.05—კონცერტი თბილისის სახელმწიფო ოპერის სოლისტის გეგუჩაძის შესრულებით. 21.20 — რაფიელ ერისთავის ლექსები. 23.00—კამერული მუსიკის კონცერტი.

ა. წ. 18 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, კომბინატ „კომუნისტის" კლუბში (ლენინის ქ. № 28) მოწვეულია **საქართველოს სსრ პოლიგრაფმრეწველობის და ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მე-2 პლენუმი. დღის წესრიგშია საკითხი.**

პროფესიულ კავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს XVII პლენუმის დადგენილების რეალიზაციის შესახებ (მომხსენებელი ამხ. დ. წერეთელი).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ვაკანტურ თანამდებობაზე შემდეგ ლაბორატორიებში:

1. პირომეტალურგიის ლაბორატორიაში 1 ადგილი; 2. ცეცხლგამძლე მასალების ლაბორატორიაში 1 ადგილი; 3. ჰიდროელექტრომეტალურგიის ლაბორატორიაში 1 ადგილი.

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ სამეცნიერო ხარისხის მქონე პირთ. განცხადება შემოტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის დირექტორის სახელზე (ქ. თბილისი, კამოს ქ. № 34-36) არა უგვიანეს 10 დღისა ამ განცხადების გამოქვეყნებიდან.

განცხადებას უნდა დაერთოს: 1. კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, 2. ავტობიოგრაფია, 3. ასლი დიპლომისა უმაღლესი განათლების შესახებ, 4. ასლი დოკუმენტებისა სამეცნიერო ხარისხისა და წოდების შესახებ, 5. სამეცნიერო ნაშრომების სია, 6. სამეცნიერო ნაშრომები, 7. საქმიანი და საზოგადოებრივი დახასიათება უკანასკნელი სამსახურის ადგილიდან.

დირექცია

საქართველოს მონადირეთა კავშირის გამგეობა აცხადებს **მონადირეთა საყურადღებოდ,** რომ საქართველოს სსრ მთელ ტერიტორიაზე დაიწყო მონადირეთა 1948 წლის სავალდებულო რეგისტრაცია.

რეგისტრაცია სწარმოებს: თბილისში — „მონკავშირის" გამგეობაში (საბა-სულხანის ქ. № 2), აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის მონადირეთა კავშირების და ყველა რაიონულ მონადირეთა ამხანაგობების გამგეობებში.

რეგისტრაციის უკანასკნელი ვადაა ა. წ. 31 მარტი. **„მონკავშირის" გამგეობა.**

მეუღლე კატო, შვილი ტატიანა ხუნდაძე შვილებით იუწყებიან **სიმონ გიტოს-ძე რამიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 21-II, საჰამიასერში.

მშრომელთა დეპუტატების ქალაქ თბილისის ბერიას რაიონული საბჭოს აღმასკომის თანამშრომლები იუწყებიან **ვალიკო პაქსაშვილის** გარდაცვალებას.

შვილები ილია, ვანო, ალექსანდრე, ნინო, მარიამ, ოლღა ოჯახებით იუწყებიან **ალათი ალექსანდრეს ასულ ტაბატაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 18-II, 5 ს. ბაქოს, 20-ა.

არჩვაძე, სტურუა, ჭარბაძე, კაციტაძე, მესხი, ფოფხაძე, გოგოხია, გოგიტიძე, ჯაფარიძე, შეწირული, გელაშვილი, გაბელაია იუწყებიან **ვალოდია გიორგის-ძე პაქსაშვილის** გარდაცვალებას.

შვილები ტასო, თეიმურაზ ასათიანები, და ეკატერინე ოდიკაძე ოჯახით იუწყებიან **რახილ ნიკოლოზის ასულ ასათიანის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 18-II, 7 ს. გამოსვენება 19-II, 5 ს. მაქსიმ გორკის, 35.

ქ. თბილისის სამხატვრო აკადემიის მე-6 კურსის სტუდენტები იუწყებიან **მათიკო ალექსანდრეს ასულ კოქლამაზაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 19 თებერვალს თელავში, მახარაძის ქ. 29.

თამარ და გოგი გოჩაშვილები იუწყებიან **დარია ვასილის ასულ საყვარელიძის** გარდაცვალებას.

თამარ და ალიოშა მირცხულავები თანაგრძნობას უცხადებენ სერგო საყვარელიძეს მისი დედის **დარია საყვარელიძის** გარდაცვალების გამო.

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები და თანამშრომლები იუწყებიან **გიორგი ივანეს-ძე ჯორჯიკიას** გარდაცვალებას.

გრიგოლ გოგიშვილი ოჯახით იუწყება მამის **სოლომონ მარკოზის-ძე გოგიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 18-II, 7½ ს. გამოსვენება 19-II, 4½ ს. პლეხანოვის, 150.

მშობლები ბაგრატ სიჭინავა, თამარ ანდღულაძე, ძმა ვენია იუწყებიან **ლულია ბაგრატის ასულ სიჭინავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 22-II სოფ. კახათში (ზუგდიდის რ.).

მეუღლე ისაკი, შვილები ლილი, ბიძინა, რევაზ, გიორგი ჭუმბურიძეები, სიძე ნიკოლოზ გაგიშვილი იუწყებიან **მერი ახლანის ასულ გოდაბრელიძე-ჭუმბურიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 22-II სოფ. ქვედა სიმონეთში.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-32-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტოსი — 3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110,000 უე 00613